# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 7 ივნისი 1996 № 44 (269) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალიდან: უყურეთ ევროპას და ფეხბურთს!











## ორშაბათიდან: იკითხეთ „სარბიელი“ კვირაში ექვსჯერ

ევრო-96-ზე აკრედიტებული ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების ზურაბ ფოცხვერიას, ზურაბ მეძველიას, დავით კაკაბაძის და დავით მჭედლიშვილის რეპორტაჟები ინგლისის სტადიონებიდან.



## ქართული დაზვერვა ინგლისში



საქართველოში, მოგეხსენებათ, წინდახედული ხალხია: ევროპის ჩემპიონატზე უკვე გაემგზავრნენ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მწვრთნელები ალექსანდრე ჩივაძე და ვლადიმერ გუცაევი. რა აინტერესებს ჩივაძეს, ცხადზე ცხადია: მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენი მეტოქეების — იტალიელებისა და ინგლისელების ტაქტიკა.

## ჩემპიონი გახდება ან ჰოლანდია, ანაც ის, ვინც ჰოლანდიას მოუგებს!

ეს თუ ასე არ მოხდა, „სარბიელი“ არაფერ შუაში იქნება. უბრალოდ, ჰოლანდიელთა მიერ „დამკვიდრებული“ ტრადიცია დაირღვევა: მსოფლიოსა და ევროპის იმ ჩემპიონატებზე, სადაც ჰოლანდია თამაშობს, სწორედ მისი მომგები იმარჯვებს. ერთად გავიხსენოთ:

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია ფინალში მარცხდება გერმანიასთან 1:2. ცხადია, ჩემპიონი გერმანიაა.

1976 წლის ევროპის ჩემპიონატი. ჰოლანდია ნახევარფინალში, დამატებით დროში 1:3-ს აგებს ჩეხოსლოვაკიასთან, რომელიც ფინალსაც იგებს და ჩემპიონი ხდება.

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. ოთხი წლის წინანდელი ანალოგიით ჰოლანდია ფინალში, დამატებით დროში მასპინძლებმა, არგენტინელებმა სძლიეს (3:1) და ჩემპიონობაც მოიპოვეს.

1980 წლის ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპის ჯგუფურ ტურნირში ჰოლანდია აგებს გერმანიასთან (2:3), რომელიც შემდგომ ყველა მეტოქეს უსწორდება და ევროპის თასსაც ეუფლება.

1982, 1984, 1986 — ჰოლანდია ფინალურ ეტაპზე გასვლას ვერ ახერხებს.

1988 წლის ევროპის ჩემპიონატი. თავად ჰოლანდია ხდება ჩემპიონი.

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. მერვედფინალში ჰოლანდია კვლავ გერმანიასთან მარცხდება — 1:2. რამდენიმე დღეში გერმანია მესამედ ეუფლება ჩემპიონის ტიტულს.

1992 წლის ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალში ჰოლანდია მოულოდნელად, პენალტებით აგებს დანიასთან, რომელიც ფინალში, ასევე მოულოდნელად, გერმანიასაც უსწორდება და ჩემპიონი ხდება.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. მომავალი ჩემპიონი ბრაზილია მეოთხედფინალში 3:2 ამარცხებს ჰოლანდიას.

## EURO-96-ის განრიგი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | ივნისი | A | ინგლისი — შვეიცარია | ლონდონი | 19.00 |
| 9 | ივნისი | B | ესპანეთი — ბულგარეთი | ლიდსი | 18.30 |
| 9 | ივნისი | C | გერმანია — ჩეხეთი | მანჩესტერი | 21.00 |
| 9 | ივნისი | D | დანია — პორტუგალია | შეფილდი | 23.30 |
| 10 | ივნისი | A | ჰოლანდია — შოტლანდია | ბირმინგემი | 20.30 |
| 10 | ივნისი | B | რუმინეთი — საფრანგეთი | ნიუკასლი | 23.30 |
| 11 | ივნისი | C | იტალია — რუსეთი | ლივერპული | 20.30 |
| 11 | ივნისი | D | თურქეთი — ხორვატია | ნოტინგემი | 23.30 |
| 13 | ივნისი | A | შვეიცარია — ჰოლანდია | ბირმინგემი | 23.30 |
| 13 | ივნისი | B | ბულგარეთი — რუმინეთი | ნიუკასლი | 20.30 |
| 14 | ივნისი | C | ჩეხეთი — იტალია | ლივერპული | 23.30 |
| 14 | ივნისი | D | პორტუგალია — თურქეთი | ნოტინგემი | 20.30 |
| 15 | ივნისი | A | შოტლანდია — ინგლისი | ლონდონი | 19.00 |
| 15 | ივნისი | B | საფრანგეთი — ესპანეთი | ლიდსი | 22.00 |
| 16 | ივნისი | C | რუსეთი — გერმანია | მანჩესტერი | 19.00 |
| 16 | ივნისი | D | ხორვატია — დანია | შეფილდი | 22.00 |
| 18 | ივნისი | A | შოტლანდია — შვეიცარია | ბირმინგემი | 23.30 |
| 18 | ივნისი | B | საფრანგეთი — ბულგარეთი | ნიუკასლი | 20.30 |
| 18 | ივნისი | A | ჰოლანდია — ინგლისი | ლონდონი | 23.30 |
| 18 | ივნისი | B | რუმინეთი — ესპანეთი | ლიდსი | 20.30 |
| 19 | ივნისი | C | რუსეთი — ჩეხეთი | ლივერპული | 23.30 |
| 19 | ივნისი | D | ხორვატია — პორტუგალია | ნოტინგემი | 20.30 |
| 19 | ივნისი | C | იტალია — გერმანია | მანჩესტერი | 23.30 |
| 19 | ივნისი | D | თურქეთი — დანია | შეფილდი | 20.30 |

### მეოთხედფინალები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22 | ივნისი | 1/4 | B1-A2 | ლივერპული | 22.30 |
| 22 | ივნისი | 1/4 | B2-A1 | ლონდონი | 19.00 |
| 23 | ივნისი | 1/4 | C1-D2 | მანჩესტერი | 19.00 |
| 23 | ივნისი | 1/4 | C2-D1 | ბირმინგემი | 22.30 |

### ნახევარფინალები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 26 | ივნისი | 1/2 | ლივერპულსა და ბირმინგემში გამარჯვებულნი | მანჩესტერი | 20.00 |
| 26 | ივნისი | 1/2 | ლონდონსა და მანჩესტერში გამარჯვებულნი | ლონდონი | 23.30 |

### ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 | ივნისიფინალი | ლონდონი | 23.00 |

## გოლის რეიტინგი

ჟურნალი „გოლი" გახსოვთ?

ვისაც ახსოვს, ეგებ, „გოლის" რეიტინგიც არ დავიწყებია?

ევროპული ფეხბურთის „გოლისეული" რანგ-ლისტი საკმაოდ ობიექტურად ასახავდა ძალათა თანაფარდობას „ძველ სამყაროში". ეს ორიგინალური ცხრილი თითქმის სამი წელია არ გამოქვეყნებულა და, ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე სახეც იცვალა.

პირველი ქართული საფეხბურთო ჟურნალ „გოლის" გამოცემა შეჩერებულია და ვინაიდან მისი ავტორი „სარბიელის" რედაქციაა, გადავწყვიტეთ, ევროპის ჩემპიონატის წინ ეს რეიტინგი გაზეთში დაგვებეჭდა.

„გოლის" რეიტინგში ქულები დაირიცხება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სამ საკლუბო ტურნირში, სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო — თასის გათამაშებაში, „ოქროს ბურთის" რეფერენდუმში და ახალგაზრდულ ნაკრებთა შეჯიბრებაში (ოც წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი და ოცდაერთწლიანთა ევროპის ჩემპიონატი) ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ მიღწეული შედეგების მიხედვით.

ქულათა დარიცხვის სისტემა ასეთია: მსოფლიო ჩემპიონატში (მ. ჩ.) გამარჯვებული იღებს 25 ქულას, მეორე-მეოთხე ადგილებზე გასულთ, შესაბამისად, 17, 12 და 10 ქულა ერიცხებათ. ევროპის ჩემპიონობა (მ. ჩ.) შეფასდება 20 ქულად, მეორე ადგილი — 12 ქულად. ჩემპიონთა თასის (ჩ. თ.) მოგება 10 ქულას იძლევა, ფინალში გასვლა — 5 ქულას, ხოლო უეფას თასი (უ. თ.) და თასების თასი (თ. თ.) შესაბამისად — 8 და 4; 6 და 3 ქულას.

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატსა (მ. ჩ. ა.) და საკონტინენტთაშორისო თასის (სკ. თ.) გათამაშებაში გამარჯვებულთათვის განკუთვნილია 5-5 ქულა. გარდა ამისა, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში გასვლა იძლევა 2 ქულას. „ოქროს ბურთის" ლაურეატები, შესაბამისად, 5, 2 და 1 ქულას იღებენ. სუპერთასის მოგებისთვის 3 ქულაა. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამარჯვება 3 ქულად ფასობს, მეორე ადგილი კი 1 ქულად.

აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპით „გოლის" რეიტინგის ჩასათვლელი ქულები მხოლოდ 24-მა ქვეყანამ მიიღო. აქედან სამი: სსრკ, ჩეხოსლოვაკია, გდრ აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ რეიტინგში მათ ადგილი შევუნარჩუნოთ. სადღეისოდ უეფა-ში გაერთიანებული ხუთი ათეული ფედერაციიდან კი, ჩვენს რანგ-ლისტში შევიდა — 21. ბოლო, ფინეთი სულ ახლახანს დაემატა 1995 წლის „ოქროს ბურთის" კონკურსში ამსტერდამის „აიაქსის" ფორვარდის იარი ლიტმანენის მიერ მესამე ადგილისთვის მიღებული 1 ქულით.

ქულათა დარიცხვის ჩვენი სისტემა, შესაძლოა, დასახვეწიცაა, მაგრამ ცხრილში, უდაოდ, ძალიან საინტერესო და საგულისხმო სურათს გვაძლევს. იმედია, ეს რეიტინგი მკითხველთა ინტერესის საგნად იქცევა. ჩვენც დიდი ინტერესით გავეცნობით გულშემატკივართა მოსაზრებებსა და განვიხილავთ რეიტინგის სრულყოფისათვის მოწოდებულ ყველა წინადადებას.

| ქვეყანა | მჩ | ეჩ | ჩთ | თთ | უთ | სკთ | მჩა | ობ | სპთ | ეჩა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 131 | 20 | 140 | 48 | 88 | 30 | — | 38 | 15 | 10 | 520 |
| გერმანია | 160 | 64 | 65 | 33 | 64 | 5 | 7 | 55+2 | — | 1 | 456 |
| ესპანეთი | 10 | 32 | 105 | 54 | 84 | 10 | 2 | 25 | 6 | 5 | 333 |
| ინგლისი | 35 | — | 90 | 57 | 96 | — | — | 34 | 12 | 6 | 330 |
| ჰოლანდია | 34 | 20 | 70 | 9 | 32 | 15 | — | 48 | 9 | — | 237 |
| საფრანგეთი | 34 | 20 | 30 | 9 | 8 | — | — | 36 | — | 3 | 140 |
| სსრკ | 10 | 56 | — | 21 | — | — | 7 | 15 | 3 | 10 | 122 |
| პორტუგალია | 12 | — | 55 | 9 | 4 | 5 | 10 | 11 | 3 | 1 | 110 |
| იუგოსლავია | 22 | 24 | 15 | — | 16 | 5 | 5 | 5 | — | 4 | 96 |
| ბელგია | 10 | 12 | 5 | 30 | 20 | — | — | — | 9 | — | 86 |
| შვედეთი | 51 | — | 5 | — | 16 | — | — | — | — | 1 | 73 |
| ჩეხოსლოვაკია | 34 | 20 | — | 6 | — | — | — | 6 | — | 3 | 69 |
| უნგრეთი | 34 | — | — | 6 | 20 | — | — | 7 | — | 1 | 68 |
| შოტლანდია | — | — | 15 | 18 | 4 | — | — | 8 | 1 | — | 46 |
| ავსტრია | 22 | — | — | 9 | 4 | — | — | 2 | — | — | 37 |
| პოლონეთი | 24 | — | — | 3 | — | — | — | 2 | — | — | 29 |
| დანია | — | 20 | — | — | — | — | — | 9 | — | — | 29 |
| რუმინეთი | — | — | 15 | — | — | — | — | — | 3 | — | 18 |
| ბულგარეთი | 10 | — | — | — | — | — | — | 7 | — | — | 17 |
| გდრ | — | — | — | 12 | — | — | — | — | — | 3 | 15 |
| საბერძნეთი | — | — | 5 | — | — | — | — | — | — | 1 | 6 |
| ჩრ.ირლანდია | — | — | — | — | — | — | — | 6 | — | — | 6 |
| უელსი | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | 1 |
| ფინეთი | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | 1 |

## დე ბურის საზიზღარი კოჭი

ფრანკ დე ბურს ბედმა უმუხთლა. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე, ვარჯიშზე ნატკენი კოჭი გაიმიზეზა და ჰოლანდიის ნაკრებსა და ტყუპისცალ რონალდს გამოაკლდა. ფრანკი სექტემბრიდან უკვე მესამედ გააწბილა კოჭის ტკივილმა, არადა ბოლოხანს გავლილმა სამედიცინო შემოწმებამ ცუდი ვერაფერი იწინასწარმეტყველა.

დე ბურის პრობლემა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ასე გადაჭრა: მის ნაცვლად განაცხადში შეიყვანა იააფ სტამი, „ეინდჰოვენის" მცველი, რომელიც 23 წლისაა და ნაკრებში ერთადერთხელ, ამასწინათ, გერმანიასთან (0:1) აქვს ნათამაშები.

„ეინდჰოვენში" გადასვლამდე სტამი ვილემ II-ს ფეხბურთელი იყო და კარგი პერსონალური მეურვის სახელი დაიგდო.



ფრანკ დე ბური

## შვეიცარელები გაბრაზდნენ

ჰქონდათ კიდეც საამოსო საბაბი: ინგლისელები მათ „უემბლიზე" სავარჯიშოდ არ უშვებენ, არადა, ხვალ მატჩია. მასპინძლები თავის დღე და მოსწრება ამ მინდორზე ბურთაობენ, მეტოქეებს კი ერთი ვარჯიშის უფლებასაც ართმევენ. მიზეზად ჩემპიონატის ორგანიზატორებმა „უიემბლიზე" საზეიმო გახსნის ცერემონიალის რეპეტიცია მოიდეს.

— გვეგონა, ყველა დეტალი დაზუსტებული იყო, გვპირდებოდნენ, პარასკევს სამ საათზე მინდორზე შეგიშვებთო — თქვა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის განრისხებულმა ვიცე-პრეზიდენტმა გვიდო კორნელამ. მანვე დასძინა, რომ რეპეტიციის მომიზეზება მდგომარეობას აუქმებს: — ფეხბურთი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეგ რაღაცა. ფეხბურთის გამო ვართ აქ შეკრებილნი, ევროპის პირველობა კი დიდი შეჯიბრებაა.

## ბარგია თუ მზითვი...

გუშინ ნარინჯისფერნი ინგლისს ჩავიდნენ. ამ მგზავრობის შესახებ ჰოლანდიურმა გაზეთმა „ალგემეენ დაგბლადმა" საინტერესო დეტალები გამოაქვეყნა. კერძოდ: ნაკრებს თან მიაქვს 900 შორტი, 580 მაისური, 550 წყვილი წინდა, 140 სპორტული ფორმა, 100 წყვილი ბუცი და 100 ქურთუკი. მარტო მეკარეებს 140 მაისური და 80 შორტი აუკიდებიათ.

## ბოლო გალაღება ინგლისამდე

### ამხანაგური მატჩები

#### გერმანია 9:1 ლიხტენშტაინი

**გერმანია: რეკი, ზამერი, კოლერი, როიტერი (ფროინდი 76), აილტსი (შტრუნცი 46), ჰელმერი (ბოდე 46), ციგე (კლინსმანი 46), ჰესლერი (ბასლერი 46), მიოლერი (შოლი 64), ბირჰოფი, კუნცი**

**ლიხტენშტაინი: ჰეები, ჰესლერი, ჰილტი, ი. ზეხი, კლაუზნერი, დ. ფრიკი, ჰ. ზეხი, პერესი (მარქსერი 46), ფ. შედლერი, მ. ფრიკი (სელე 76), ჰ. შედლერი**

**გოლი: მიოლერი (4; 64), კუნცი (18; 90), ბირჰოფი (22), ციგე (38), ზამერი (48), კოლერი (53), კლინსმანი (85), პერესი (68)**

დიდ ტურნირზე გამგზავრების წინ სუსტ მეტოქესთან თამაშს ერთადერთი აზრი აქვს: გამანადგურებელი ანგარიშით გამარჯვება, რასაც მხოლოდდამხოლოდ ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია. გერმანელთათვის ეს მითუფრო საჭირო იყო, რომ წინა შეხვედრაში შინ ფრანგებთან წააგეს. მართალია ბერტი ფოგტსს საბოლოოდ იმის გარკვევაც სურს, ვინ ათამაშოს კლინსმანის მხარდამხარ თავდასხმაში კუნცი თუ ბირჰოფი, მაგრამ საეჭვოა ამ კითხვაზე ლიხტენშტაინელ მოყვარულებთან თამაშს მისთვის ცხადი პასუხი გაეცა. თანაც, ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში, ჩეხების წინააღმდეგ, კლინსმანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს და ალბათ ნახსენებ წყვილს იქ ერთად მოუწევთ გარჯა.

მანჰაიმში, გერმანელებმა ამოცანას სრულყოფილად გაართვეს თავი — 9:1 შთამბეჭდავი ანგარიშია, მაგრამ მომენტებისა და გოლების აღწერას ვფიქრობთ აზრი არ აქვს.

#### ჰოლანდია 3:1 ირლანდია

**ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ბლინდი (დე კოკი 46), დავიდსი, ბოგარდი, რ. დე ბური (ვინტერი 46), ზეედორფი, ვიზხე, კრუიფი (კოკუ 74), ბერხკამპი, ჰუქსტრა (ტაუმენტი 27)**

**ირლანდია: გაივენი, კენა (ფლემინგი 78), ფილანი, კერნაგენი, ბრინი, ჰერტი, ობრაინი (კანინგემი 70), მაკლაფლინი, კონოლი (ქუინი 64), კასკარინო (ონილი 46), მური (კენედი 46)**

დენის ბერხკამპს 14 თვის განმავლობაში ნაკრებში გოლი არ გაეტანა და ახლა, როტერდამში, ჰოლანდიელთა ბოლო ამხანაგურ-გასახურებელ მატჩში, 27-ე წუთზე, ნავსიც გაწყვიტა და ანგარიშიც გაქვითა. გეხსომებათ, შარშან 13 დეკემბერს ლივერპულში სწორედ ეს გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელ, უპატრონო საგზურს. თავ-თავიანთ შესარჩევ ჯგუფებში ხომ მათ მეორე ადგილები დაიკავეს, თანაც ისეთი, სხვა ჯგუფების მეორე ადგილებზე უარესი რომ იყო და იმიტომაც მოუწიათ გადათამაშება. მაშინ ნიდერლანდელებმა 2:0 მოიგეს. ამხანაგურ მატჩში შურისძიებას რაღა აზრი აქვს, მაგრამ ტონი კასკარინოს გოლს, დასაწყისშივე რომ შეაგდო, ასეთი ელფერი დაჰკრავდა. მან ბრინის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული, თავით, ვან დერ სარის კარში გაგზავნა. ჰოლანდიელებმა არ დათმეს, თამაშის სადავეები ხელადვე იპყრეს ხელთ და აკი ბერხკამპმა მშვენიერი დარტყმით გაქვითა კიდეც. ბერხკამპის ხელი მასპინძელთა მეორე გოლშიც ერია. კლარენს ზეედორფს სწორედ მან მიაწოდა, ზეედორფმა კი ათი მეტრიდან შეაგდო. მესამე, თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ფილიპ კოკუმ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ირლანდიელთა შეტევების დროს ნარინჯის ფერთა დაცვა, მთლად უდრტვინველად ვერ გამოიყურებოდა.

#### საფრანგეთი 2:0 სომხეთი

**საფრანგეთი: ლამა, ანგლომა (ტურამი 46), ბლანი, დესაი, ლიზარაზუ, ლამუში, გერენი (კარემბუ 46), დეშამპი, ჟორკაეფი (ლოკო 46), ზიდანი, მადარი**

**სომხეთი: აბრამიანი, სუკიასიანი, ხაჩატრიანი, ჰუსეფიანი, ჰოვანესიანი, ტერ-პეტროსიანი, პეტროსიანი, გრიგორიანი (ა. ავეტისიანი 57), მხითარიანი, ტონოიანი, ჰ. ავეტისიანი (ვარდანიანი 60)**

საფრანგეთს, გერმანიაში მოგების შემდეგ დიდი წახალისება აღარ სჭირდებოდა და ალბათ ამიტომაც ვერ განეწყო სომეხთა დიდი ანგარიშით დამარცხებისთვის. მეორე მხრივ, სომხეთს, თუმც ბოლო ათ თამაშში მხოლოდ ერთხელ მიეღწია წარმატებისთვის, იოლად ხელწამოსაკრავი გუნდი არ ჰყავს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში იგი სამბურთიანი სხვაობით ერთხელაც არ დამარცხებულა, არადა, ესპანეთი და დანია ჰყავდა მეტოქეებად.

ანგარიში ჟოსელინ ანგლომამ გახსნა. მან იური ჟორკაეფის საუცხოო პასით სტუმართა გოლკიპერს ბურთი თავზე გადაუგდო. ეს მე-16 წუთზე მოხდა. მეორე ტაიმში კი 72-ზე ლიზარაზუს ჩაწოდებული მიშელ მადარმა თაურით შეაგდო.

ფრანგებმა ბევრი ხელსაყრელი მომენტი ვერ აქციეს გოლად. ამის დასტურად თუნდაც პატრის ლოკოს მიერ 71-ე და მე-80 წუთებზე ძელს მორტყმული ბურთიც გამოდგება. მატჩის შემდეგ სამფეროვანთა მწვრთნელმა ემე ჟაკემ განაცხადა, მართალია, ბევრი შესაძლებლობა გავაცუდეთ და აშკარაა, რომ სამუშაო კვლავაც ბევრი გვაქვს, სომხებთან თამაშით მაინც კმაყოფილი დავრჩიო.


**იყიდება**

თეთრი, გამჭირვალე ორგანული მინა

125 X 74

75 X 75

ტელ.: 95 22 56 (საღამოს)





### ეშმაკისეული პროგნოზები ევრო-96-ისთვის

იყო ერთი ასეთი სახელოვანი და დიდი მწვრთნელი, ელინიო ერერა. უამრავ სამწვრთნელო ღირსებასთან და ახირებულ ხასიათთან ერთად ამ ელინიო ერერას თან დაჰყოლოდა საფეხბურთო პროგნოზის დიდი ნიჭი. თუკი ერერა პროგნოზს გამოთქვამდა, იშვიათად რომ ანგარიში არ ამოეცნო და მხოლოდ ანგარიში? ერერა გოლის ავტორს, ანგარიშის მსვლელობას და ასეთ რამეებსაც იოლად ხვდებოდა. ერერას პროგნოზი — მთელი მეცნიერება იყო. ის არასოდეს მოქმედებდა გულის კარნახით, არამედ მხოლოდ გონისა.

მეცნიერება იყო ცნობილი რუსი ფეხბურთის მეისტორიის კონსტანტინ ესენინის პროგნოზებიც. ესენინის პროგნოზები სტატისტიკას ეფუძნებოდა; თანაც ამ ჩია, ინტელიგენტ კაცს, რაღაც ზღაპრული სტატისტიკური არქივი ჰქონდა. ვთქვათ, ამის მსგავს რაღაცას იტყოდა: „თუ მოსკოვის „დინამო" სამხრეთის კარს აირჩევს, მაშინ პირველ ტაიმში გოლს არ გაუშვებს, რადგან ლუჟნიკებში თამაშისას, სამხრეთის კარის ამრჩევ მოსკოვის „დინამოს" მხოლოდ ორჯერ გაუშვია ბურთი პირველ ტაიმში, ორმოცი წლის განმავლობაში."

კონსტანტინ ესენინი ვერ მოესწრო ტოტალიზატორების ეპოქას, მის დროს ტოტალიზატორი მხოლოდ დოღზე არსებობდა.

და მაინც, საფეხბურთო პროგნოზი ეშმაკის მოგონილია. როცა მას ჩვეულებრივი მეფსონე ან თუნდაც თავგადაკლული გულშემატკივარი გამოთქვამს, პროგნოზს ლოგიკასთან და საკითხის მეცნიერულ შესწავლასთან საერთო მეტად ცოტა აქვს.

აი, ხვალ იწყება ჩემპიონატი — დიდი საფეხბურთო ფორუმი.

ამასთან დაკავშირებით, მე ქალაქის ყველაზე ახირებული პროგნოზები შევკრიბე, თუმცა, არ ვიცი, მიაღწევს, თუ არა ეს პროგნოზები ჩვენს ტოტალიზატორებამდე, მაგრამ ისინი მეტად საინტერესოა და რაც მთავარია, ეშმაკისეულია.

აი, ზოგიერთი მათგანი:

გახსნის მატჩი: ინგლისი — შვეიცარია ფრედ დასრულდება. ინგლისელთა რიგებში არ იქნებიან ფერდინანდი, სტივ სტოუნი და დარენ ანდერტონი. ამ შეხვედრაში გოლი არ გავა (ამ პროგნოზს საფუძვლად უდევს მოარული და მტკიცე შეხედულება იმის თაობაზე რომ გახსნის თამაში ფრედ უნდა დამთავრდეს).

დანიის ნაკრები ნახევარფინალში გავა მას შემდეგ, რაც მეოთხედფინალში ჩეხებს მოუგებს (ამ პროგნოზის ავტორმა აშკარად ჯგუფში ჩატოვა არიგო საკის იტალია. ნეტავ რას ფიქრობს „ატურა?") ნახევარფინალში კი ფრანგებს შეხვდება (მა, ჰოლანდია?)

კიდევ ერთი პროგნოზი ეხება გერმანიის ნაკრებს. პროგნოზის კონცეფცია ასეთია: გერმანიის ნაკრებს აუცილებლად უნდა წაუცდეს ფეხი. ასეთი რამ ისტორიულად არსებობს. გერმანია ყოველთვის აგებს ერთხელ. უმჯობესია ეს საქმე ჯგუფში მოითავოს. ამიტომ „ოლდ ტრეფორდის" სტადიონზე გერმანია რუსეთთან წააგებს, თუმცა ბურთს აუცილებლად გაიტანს და ამის შემდეგ იტალიას მოუგებს, რათა ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდეს (ჩეხის შემდეგ, არა? ჰმ, ჰმ) და მეოთხედფინალში პორტუგალიას დაეჯახოს (პროგნოზის ავტორს არ აწყობს, რომ გერმანია დანიას შეხვდეს მეოთხედფინალში, რადგან დანია გერმანიას ამწარებს ხოლმე მას, ასევე არ სჯერა ხორვატული ფეხბურთის).

სამაგიეროდ ხორვატული ფეხბურთისა სხვებს სჯერათ. ერთი-ორ ადამიანს შემუშავებული აქვს ხორვატთა ტრიუმფის მთელი ცხრილი. აი, ისიც: თურქეთი — ხორვატია 0-2, ხორვატია — დანია 3-1, პორტუგალია — ხორვატია 0-1. მეოთხედფინალი: ხორვატია — იტალია 2-0 (20 წუთში). ნახევარფინალი: ხორვატია — ჰოლანდია 2-1, ფინალი — უპროგნოზოდ.

ხედავთ, რაშია საქმე?

რუმინეთი ესპანეთს მოუგებს. კიდევ ერთი პროგნოზია (არსი: რუმინელები ესპანურ ფეხბურთში შინაური ხალხია).

და შოტლანდია? განა ვინმე გამოტოვებდა შოტლანდიას, რომელმაც ერთი თამაში საუცხოოდ უნდა ითამაშოს? ახირებული პროგნოზისტები ფიქრობენ რომ ეს თამაში სკოტებს შვეიცარიელებთან მოუწევთ. ასე გასინჯეთ, ორბურთიან სხვაობაზეც კია ლაპარაკი.

და კიდევ, ასეთი პროგნოზიც მოვისმინე: რამდენი გოლი გავა უემბლიზე ჩატარებულ ექვს მატჩში? პროგნოზის ავტორი გულისხმობდა, რომ ექვსივე შეხვედრაში ინგლისის ნაკრები ითამაშებს და ამბობდა, 16-ზე ნაკლები არაფრით არ იქნებაო. ღმერთმა იცის.

ეშმაკსაც წაუღია!

ჩემპიონატი კარს მოგვადგა, ტვინებიც ამიტომ დუღს.

პროგნოზი კი მაინც მეცნიერებაა.

# ინგლისი

როგორც ჩემპიონატის მასპინძელი შესარჩევ ტურნირში არ მონაწილეობდა

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.03 | ლონდონი. | ბულგარეთი | 1:0 |
| 24.04 | ლონდონი. | ხორვატია | 0:0 |
| 18.05 | ლონდონი. | უნგრეთი | 3:0 |
| 23.05 | პეკინი. | ჩინეთი | 3:0 |
| 26.05 | ჰონკონგი. | ჰონკონგი | 1:0 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 8 ივნისი | ლონდონი. | შვეიცარია |
| 15 ივნისი | ლონდონი. | შოტლანდია |
| 18 ივნისი | ლონდონი. | ჰოლანდია |



## ტერი ვენეიბლზი

დაიბადა 1943 წლის 6 ივნისს

1960-იან წლებში იყო „ჩელსის“ კაპიტანი. 1967-ში გადავიდა „ტოტენჰემში“ და მოიპოვა ფეხბურთის ასოციაციის თასი. მწვრთნელობა დაიწყო „კრისტალ პალასსა“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსში“, შემდეგ გადავიდა „ბარსელონაში“, რომელსაც 1985-ში ესპანეთის ჩემპიონობა მოაპოვებინა, 1986-ში კი ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა. ინგლისში დაბრუნებული „ტოტენჰემს“ ჩაუდგა სათავეში, 1994 წლის იანვარში კი ნაკრების მწვრთნელის პოსტზე შეცვალა გრემ ტეილორი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | დევიდ სიმენი | არსენალი | 19 | სექტემბერი | 1963 |
| 13 | ტიმ ფლაუერსი | ბლექბერნი | 3 | თებერვალი | 1967 |
| 22 | იან უოქერი | ტოტენჰემი | 31 | ოქტომბერი | 1971 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | გერი ნევილი | მანჩესტერ იუნაიტედი | 18 | თებერვალი | 1975 |
| 3 | სტიუარტ პირსი | ნოტინგემი | 24 | აპრილი | 1962 |
| 5 | ტონი ადამსი | არსენალი | 10 | ოქტომბერი | 1966 |
| 12 | სტივ ჰაუი | ნიუკასლი | 26 | ოქტომბერი | 1971 |
| 16 | სოლ კემპბელი | ტოტენჰემი | 18 | სექტემბერი | 1974 |
| 19 | ფილ ნევილი | მანჩესტერ იუნაიტედი | 21 | იანვარი | 1977 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 4 | პოლ ინსი | ინტერი, იტალია | 21 | ოქტომბერი | 1967 |
| 6 | გარეთ საუთგეიტი | ასტონ ვილა | 3 | სექტემბერი | 1970 |
| 7 | დევიდ პლატი | არსენალი | 10 | ივნისი | 1966 |
| 8 | პოლ გასკოინი | რეინჯერსი, შოტლანდია | 27 | მაისი | 1967 |
| 15 | ჯეიმი რედნეპი | ლივერპული | 25 | ივნისი | 1973 |
| 17 | სტივ მაკმანამანი | ლივერპული | 11 | თებერვალი | 1972 |
| 20 | სტივ სტოუნი | ნოტინგემი | 20 | აგვისტო | 1971 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 9 | ალან შირერი | ბლექბერნი | 13 | აგვისტო | 1970 |
| 10 | ტედი შერინგემი | ტოტენჰემი | 2 | აპრილი | 1966 |
| 11 | დარენ ანდერტონი | ტოტენჰემი | 3 | მარტი | 1972 |
| 14 | ნიკ ბარმბი | მიდლსბრო | 11 | თებერვალი | 1974 |
| 18 | ლეს ფერდინანდი | ნიუკასლი | 8 | დეკემბერი | 1966 |
| 21 | რობი ფაულერი | ლივერპული | 9 | აპრილი | 1975 |

# შვეიცარია

**შესარჩევი მატჩები**

- შინ შვედეთი 4:2 — *ორელი, სფორცა, თურქილმაზი, ავტოგოლი*
- შინ ისლანდია 1:0 — *ბიკელი*
- სტუმრად თურქეთი 2:1 — *კოლერი, ბიკელი*
- სტუმრად უნგრეთი 2:2 — *სუბია-2*
- შინ თურქეთი 1:2 — *ჰოტიგერი*
- სტუმრად ისლანდია 2:0 — *თურქილმაზი, ავტოგოლი*
- სტუმრად შვედეთი 0:0
- შინ უნგრეთი 3:0 — *თურქილმაზი, სფორცა, ორელი*

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.03 | ლუქსემბურგი. | ლუქსემბურგი | 1:1 |
| 27.03 | ვენა. | ავსტრია | 0:1 |
| 24.04 | ლუგანო. | უელსი | 2:0 |
| 01.06 | ბაზელი. | ჩეხეთი | 1:2 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 8 ივნისი | ლონდონი. | ინგლისი |
| 13 ივნისი | ბირმინგემი. | ჰოლანდია |
| 18 ივნისი | ბირმინგემი. | შოტლანდია |



## არტურ ჟორჟე

დაიბადა 1946 წლის 13 თებერვალს

პორტუგალიელმა მწვრთნელმა წელს, 1 იანვარს ჩაიბარა შვეიცარიის ნაკრები. თანამდებობაზე მან ინგლისელი როი ჰოჯსონი შეცვალა. განათლებით ლინგვისტია, აქვს ორი უნივერსიტეტის დიპლომი. 8 თამაშში ხელმძღვანელობდა პორტუგალიის ნაკრებს. წვრთნიდა პორტუგალიის 5 და საფრანგეთის 2 გუნდს. „პორტუს“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა, გახადა ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი. „პარი სენ ჟერმენს“ აღებინა ქვეყნის თასი და გახადა საფრანგეთის ჩემპიონი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | მარკო პასკოლო | სერვეტი | 9 | მაისი | 1966 |
| 12 | შტეფან ლემანი | სიონი | 15 | აგვისტო | 1963 |
| 22 | ჟოელ კორმინბე | ქსამაქსი | 16 | მარტი | 1964 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | მარკ ჰოტიგერი | ევერტონი, ინგლისი | 7 | ნოემბერი | 1967 |
| 3 | ივან კენტენი | სიონი | 2 | მაისი | 1970 |
| 4 | სტეფან ენჩოსი | ჰამბურგი, გერმანია | 7 | სექტემბერი | 1974 |
| 5 | ალენ გაიგერი | გრასჰოპერი | 5 | ნოემბერი | 1960 |
| 6 | რაფაელ ვიკი | სიონი | 26 | აპრილი | 1977 |
| 13 | სებასტიან ჟანრე | ქსამაქსი | 12 | დეკემბერი | 1973 |
| 15 | რამონ ვეგა | გრასჰოპერი | 14 | ივნისი | 1971 |
| 18 | რეჟი როტენბიულერი | ქსამაქსი | 11 | ოქტომბერი | 1970 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 7 | სებასტიან ფურნიე | სიონი | 27 | ივნისი | 1971 |
| 8 | კრისტოფ ორელი | სენტ-ეტიენი, საფრანგეთი | 7 | აპრილი | 1968 |
| 10 | ჩირიაკო სფორცა | ბაიერნი, გერმანია | 2 | მარტი | 1970 |
| 16 | მარსელ კოლერი | გრასჰოპერი | 11 | ნოემბერი | 1960 |
| 17 | იოჰან ფოგელი | გრასჰოპერი | 8 | მარტი | 1977 |
| 19 | დავიდ სესა | სერვერტი | 10 | ივლისი | 1973 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 9 | მარკო გრასი | რენი, საფრაგეთი | 8 | აგვისტო | 1968 |
| 11 | სტეფან შაპუიზა | დორტმუნდი, გერმანია | 28 | ივნისი | 1969 |
| 14 | ქუბილაი თურქილმაზი | გალათასარაი, თურქეთი | 4 | მარტი | 1967 |
| 20 | ალექსანდრ კომიზეტი | გრასჰოპერი | 21 | ივლისი | 1973 |
| 21 | კრისტოფ ბონვენი | სიონი | 14 | აპრილი | 1965 |

# ჰოლანდია

**შესარჩევი მატჩები**

- სტუმრად ლუქსემბურგი 4:0 — *რ. დე ბური-2, როი, იონკი*
- სტუმრად ნორვეგია 1:1 — *როი*
- შინ ჩეხეთი 0:0
- შინ ლუქსემბურგი 5:0 — *მულდერი, როი, იონკი, რ. დე ბური, ზეედორფი*
- შინ მალტა 4:0 — *ზეედორფი, ბერხკამპი, ვინტერი, კლუივერტი*
- სტუმრად ჩეხეთი 1:3 — *იონკი*
- სტუმრად ბელარუსი 0:1
- შინ ბელარუსი 1:0 — *მულდერი*
- სტუმრად მალტა 4:0 — *ოვერმარსი-3, ზეედორფი*
- შინ ნორვეგია 3:0 — *ზეედორფი, მულდერი, ოვერმარსი*
- დამ. ირლანდია 2:0 — *კლუივერტი-2*

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02 | ეინდჰოვენი. | ბელგია | გაუქმდა |
| 24.04 | როტერდამი. | გერმანია | 0:1 |
| 29.05 | ტილბურგი. | ჩინეთი | 2:0 |
| 04.06 | როტერდამი. | ირლანდია | 3:1 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 10 ივნისი | ბირმინგემი. | შოტლანდია |
| 13 ივნისი | ბირმინგემი. | შვეიცარია |
| 18 ივნისი | ლონდონი. | ინგლისი |



## გუს ჰიდინკი

დაიბადა 1946 წლის 8 ნოემბერს

1960-70 წლებში თამაშობდა „სპორტ ვარსეველდში“, „გრააფსხაპში“, „პსვ ეინდჰოვენში“, „ნაიმეგენში“, შემდეგ კი გადავიდა აშშ-ში, სადაც „ვოშინგტონ დიპლომატსა“ და „სან ხოსე ერსქვეიკში“ გამოდიოდა. იყო „გრააფსხაპის“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი, „ეინდჰოვენის“ მწვრთნელის ასისტენტი, შემდეგ კი მწვრთნელი. 1988 წელს „ეინდჰოვენს“ ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა და ესპანეთის „ვალენსიაში“ გადავიდა. 1994 წელს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დიკ ადვოკაატი შეცვალა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | ედვინ ვან დერ სარი | აიაქსი | 20 | ოქტომბერი | 1970 |
| 16 | ედ დე გუი | ფეიენოორდი | 20 | დეკემბერი | 1966 |
| 21 | რუუდ ჰესპი | როდა | 31 | ოქტომბერი | 1965 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | მიხაელ რაიციგერი | აიაქსი | 3 | ივნისი | 1973 |
| 3 | დენი ბლინდი | აიაქსი | 1 | აგვისტო | 1961 |
| 5 | იააფ სტამი | პსვ ეინდჰოვენი | | | 1971 |
| 15 | ვინსტონ ბოგარდი | აიაქსი | 22 | ოქტომბერი | 1970 |
| 18 | იოჰან დე კოკი | როდა | 25 | ოქტომბერი | 1964 |
| 22 | იონ ველდმანი | სპარტა | 24 | თებერვალი | 1968 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 4 | კლარენს ზეედორფი | სამპდორია, იტალია | 1 | აპრილი | 1976 |
| 6 | რონალდ დე ბური | აიაქსი | 15 | მაისი | 1970 |
| 8 | ედგარ დავიდსი | აიაქსი | 13 | მარტი | 1973 |
| 12 | აარონ ვინტერი | ლაციო, იტალია | 1 | მარტი | 1967 |
| 13 | არტურ ნუმანი | პსვ ეინდჰოვენი | 14 | დეკემბერი | 1969 |
| 14 | რიხარდ ვიჩხე | აიაქსი | 20 | სექტემბერი | 1969 |
| 20 | ფილიპ კოკუ | პსვ ეინდჰოვენი | 29 | ოქტომბერი | 1970 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 7 | გასტონ ტაუმენტი | ფეიენოორდი | 1 | ოქტომბერი | 1970 |
| 9 | პატრიკ კლუივერტი | აიაქსი | 1 | ივლისი | 1976 |
| 10 | დენის ბერხკამპი | არსენალი, ინგლისი | 10 | მაისი | 1969 |
| 11 | პეტერ ჰუძსტრა | აიაქსი | 4 | აპრილი | 1973 |
| 17 | ჯორდი კრუიფი | ბარსელონა, ესპანეთი | 9 | თებერვალი | 1974 |
| 19 | იური მულდერი | შალკე, გერმანია | 23 | მარტი | 1969 |

# შოტლანდია

**შესარჩევი მატჩები**

- სტუმრად ფინეთი 2:0 — *შირერი, კოლინზი*
- შინ ფარერები 5:1 — *მაკგინლი, ბუთი, კოლინზი-2, მაკკინლი*
- შინ რუსეთი 1:1 — *ბუთი*
- სტუმრად საბერძნეთი 0:1
- სტუმრად რუსეთი 0:0
- სტუმრად სან-მარინო 2:0 — *კოლინზი, კალდერვუდი*
- სტუმრად ფარერები 2:0 — *მაკკინლი, მაკგინლი*
- შინ საბერძნეთი 1:0 — *მაკკოისტი*
- შინ ფინეთი 1:0 — *ბუთი*
- შინ სან-მარინო 5:0 — *ჯესი, ბუთი, მაკკოისტი, ნევინი, ავტოგოლი*

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.03 | გლაზგო. | ავსტრალია | 1:0 |
| 24.04 | კოპენჰაგენი. | დანია | 0:2 |
| 26.05 | ნიუ-ჰეივენი. | აშშ | 1:2 |
| 29.05 | მაიამი. | კოლუმბია | 0:1 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 10 ივნისი | ბირმინგემი. | ჰოლანდია |
| 15 ივნისი | ლონდონი. | ინგლისი |
| 18 ივნისი | ბირმინგემი. | შვეიცარია |



## კრეიგ ბრაუნი

დაიბადა 1940 წლის 1 ივლისს

ფეხბურთელობისას „რეინჯერსში“, „დანდი იუნაიტედში“, „ფალკირკსა“ და „კლაიდში“ ცენტრალურ მცველად თამაშობდა. ახალგაზრდამ მძიმე ტრავმა მიიღო და თამაშს შეეშვა. მწვრთნელობა დაიწყო „კლაიდში“, შემდეგ შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციაში ჩინოვნიკობდა, ბოლოს კი ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა. მთავარ ნაკრებს 1993 წელს ჩაუდგა სათავეში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | ჯიმ ლეიტონი | ჰიბერნიანი | 24 | ივლისი | 1958 |
| 12 | ენდი გორამი | რეინჯენსი | 13 | აპრილი | 1964 |
| 22 | ნიკი უოქერი | პარტიკ თისლი | 29 | სექტემბერი | 1962 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | სტიუარტ მაკკიმი | აბერდინი | 27 | ოქტომბერი | 1962 |
| 3 | თომას ბოიდი | სელტიკი | 24 | ნოემბერი | 1965 |
| 4 | კოლინ კოლდერვუდი | ტოტენჰემი, ინგლისი | 20 | იანვარი | 1965 |
| 5 | კოლინ ჰენდრი | ბლექბერნი, ინგლისი | 7 | დეკემბერი | 1965 |
| 6 | დერეკ უაითი | მიდლსბრო, ინგლისი | 31 | აგვისტო | 1968 |
| 13 | ტომ მაკკინლი | სელტიკი | 3 | დეკემბერი | 1964 |
| 16 | კრეიგ ბერლი | ჩელსი, ინგლისი | 24 | სექტემბერი | 1971 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 8 | სტიუარტ მაკკოლი | რეინჯერსი | 10 | ივლისი | 1964 |
| 10 | გარი მაკალისტერი | ლიდსი, ინგლისი | 25 | დეკემბერი | 1964 |
| 11 | ჯონ კოლინზი | სელტიკი | 31 | იანვარი | 1968 |
| 17 | ბილი მაკკინლი | ბლექბერნი, ინგლისი | 22 | აპრილი | 1969 |
| 21 | სკოტ ჯემილი | ნოტინგნემი, ინგლისი | 2 | იანვარი | 1971 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 7 | ჯონ სპენსერი | ჩელსი, ინგლისი | 11 | სექტემბერი | 1970 |
| 9 | ალი მაკკოისტი | რეინჯერსი | 24 | სექტემბერი | 1962 |
| 14 | გორდონ დიური | რეინჯენსი | 6 | დეკემბერი | 1965 |
| 15 | იონ ჯესი | ქოვენთრი, ინგლისი | 13 | დეკემბერი | 1970 |
| 18 | კევინ გალაჰერი | ბლექბერნი, ინგლისი | 23 | ნოემბერი | 1966 |
| 19 | დარენ ჯექსონი | ჰიბერნიანი | 25 | ივლისი | 1966 |
| 20 | სკოტ ბუთი | აბერდინი | 16 | დეკემბერი | 1971 |

# ესპანეთი

### შესარჩევი მატჩები

სტუმრად კვიპროსი 2:1
*იგერა-2*
სტუმრად მაკედონია 2:0
*ხალინახი-2*
შინ დანია 3:0
*ნადალი, დონატო, ლუის ენრიკე*
სტუმრად ბელგია 4:1
*იერო დონატო, ხალინახი, ლუის ენრიკე*
შინ ბელგია 1:1
*გერერო*
სტუმრად სომხეთი 2:0
*ამავისკა, გოიკოეჩეა*
შინ სომხეთი 1:0
*იერო*
შინ კვიპროსი 6:0
*პიცი-2, გერერო, ალფონსო, იერო, კამინერო*
სტუმრად დანია 1:1
*იერო*
შინ მაკედონია 3:0
*კიკო, მანხარინი, კამინერო*

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.02 | ლას-პალმასი. | ნორვეგია | 1:0 |
| 24.04 | ოსლო. | ნორვეგია | 0:0 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 9 ივნისი | ლიდსი. | ბულგარეთი |
| 15 ივნისი | ლიდსი. | საფრანგეთი |
| 18 ივნისი | ლიდსი. | რუმინეთი |



**ხავიერ კლემენტე**

დაიბადა 1950 წლის 12 მარტს

ბილბაოს „ატლეტიკში“ თამაშისას ფეხი მოიტეხა და 24 წლისამ თამაშს თავი ანება. 1981-82 წლებში „ატლეტიკის“ მწვრთნელი გახდა და გუნდს ჩემპიონობა მოაგებინა. მომდევნო 5 წელიწადში ორჯერ ჩემპიონობა და ორჯერ თასი მოიპოვა. წვრთნიდა აგრეთვე „ესპანიოლს“, რომელიც 1988 წელს უეფას თასის ფინალში გაიყვანა, „ატლეტიკოსა“ და კვლავ „ატლეტიკს“. 1992 წელს ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

**მეკარეები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანდონი სუბისარეტა | ვალენსია | 23 | ოქტომბერი | 1961 |
| 13 | ხოსე სანტიაგო კანისარესი | რეალი | 18 | დეკემბერი | 1969 |
| 22 | ხოსე ფრანცისკო მოლინა | ატლეტიკო | 8 | აგვისტო | 1970 |

**მცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | ალბერტო ბელსუე | სარაგოსა | 2 | მარტი | 1968 |
| 4 | რაფაელ ალკორტა | რეალი | 16 | სექტემბერი | 1968 |
| 5 | აბელარდო ფერნანდესი | ბარსელონა | 6 | დეკემბერი | 1970 |
| 12 | სერხი ბარხუანი | ბარსელონა | 28 | დეკემბერი | 1971 |
| 16 | ხორხე ოტერო | ვალენსია | 28 | იანვარი | 1969 |
| 20 | მიგელ ანხელ ნადალი | ბარსელონა | 28 | ივლისი | 1966 |

**ნახევარმცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | ხუან მანუელ ლოპესი | ატლეტიკო | 3 | სექტემბერი | 1969 |
| 6 | ფერნანდო იერო | რეალი | 23 | მარტი | 1968 |
| 8 | იულენ გერერო | ატლეტიკი | 7 | იანვარი | 1974 |
| 10 | დონატო გამა და სილვა | დეპორტივო | 30 | დეკემბერი | 1962 |
| 15 | ხოსე ლუის კამინერო | ატლეტიკო | 8 | ნოემბერი | 1967 |
| 18 | გილერმო ამორი | ბარსელონა | 4 | დეკემბერი | 1967 |
| 21 | ლუის ენრიკე მარტინესი | რეალი | 8 | მაისი | 1970 |

**თავდამსხმელები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | ხოსე ემილიო ამავისკა | რეალი | 19 | ივნისი | 1971 |
| 9 | ხუან ანტონიო პიცი | ტენერიფე | 7 | ივნისი | 1968 |
| 11 | ალფონსო პერესი | ბეტისი | 26 | სექტემბერი | 1972 |
| 14 | კიკო ნარვაესი | ატლეტიკო | 26 | აპრილი | 1972 |
| 17 | ხავიერ მანხარინი | დეპორტივო | 31 | დეკემბერი | 1969 |
| 19 | ხულიო სალინასი | სპორტინგი | 11 | სექტემბერი | 1962 |

# ბულგარეთი

### შესარჩევი მატჩები

შინ საქართველო 2:0
*კოსტადინოვი-2*
შინ მოლდოვა 4:1
*სტოიჩკოვი-2, ბალაკოვი, კოსტადინოვი*
სტუმრად უელსი 3:0
*ივანოვი, კოსტადინოვი, სტოიჩკოვი*
შინ უელსი 3:1
*პენევი-2, ბალაკოვი*
სტუმრად მოლდოვა 3:0
*ბალაკოვი, სტოიჩკოვი-2*
შინ გერმანია 3:2
*სტოიჩკოვი-2, კოსტადინოვი*
სტუმრად ალბანეთი 1:1
*სტოიჩკოვი*
შინ ალბანეთი 3:0
*ლეჩკოვი, კოსტადინოვი-2*
სტუმრად საქართველო 1:2
*სტოიჩკოვი*
სტუმრად გერმანია 1:3
*სტოიჩკოვი*

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.03 | ლონდონი. | ინგლისი | 0:1 |
| 24.04 | ტრნავა. | სლოვაკეთი | 0:0 |
| 28.05 | სოფია. | მაკედონია | 3:0 |
| 02.06 | სოფია. | საემიროები | 4:1 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 9 ივნისი | ლიდსი. | ესპანეთი |
| 13 ივნისი | ნიუკასლი. | რუმინეთი |
| 18 ივნისი | ნიუკასლი. | საფრანგეთი |



**დიმიტარ პენევი**

დაიბადა 1945 წლის 12 ივლისს

ფეხბურთელის კარიერა დაიწყო სოფიის „ლოკომოტივში“, 1964 წელს გადავიდა ცსკა-ში. გახდა ბულგარეთის შვიდგზის ჩემპიონი და ხუთგზის თასის მფლობელი. მონაწილეობდა 1966, 1970 და 1974 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში. 1978 წელს დაიწყო მწვრთნელობა, სათავეში ჩაუდგა ცსკა-ს. შემდეგ ორი წელი მუშაობდა ქუვეითში, საიდანაც კვლავ ცსკა-ს დაუბრუნდა. 1991 წელს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ივან ვუცოვი.

**მეკარეები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბორისლავ მიხაილოვი | რიდინგი, ინგლისი | 12 | თებერვალი | 1963 |
| 12 | დიმიტარ პოპოვი | ცსკა | 27 | თებერვალი | 1970 |
| 22 | ზდრავკო ზდრავკოვი | სლავია | 4 | ოქტომბერი | 1970 |

**მცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | ტრიფონ ივანოვი | რაპიდი, ავსტრია | 27 | ივლისი | 1965 |
| 4 | ილიან კირიაკოვი | ანორთოსისი, კვიპროსი | 4 | აგვისტო | 1967 |
| 5 | პეტარ ხუბჩევი | ჰამბურგი, გერმანია | 26 | თებერვალი | 1964 |
| 17 | ემილ კრემენლიევი | ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი | 13 | აგვისტო | 1969 |
| 18 | ცანკო ცვეტანოვი | ვალდჰოფი, გერმანია | 6 | იანვარი | 1970 |
| 19 | გოშო გინჩევი | დენიზლისპორი, თურქეთი | 2 | თებერვალი | 1969 |

**ნახევარმცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | რადოსტინ კიშიშევი | ჩერნომორეცი | 30 | ივლისი | 1974 |
| 6 | ზლატკო იანკოვი | ურდინგენი, გერმანია | 7 | ივნისი | 1966 |
| 10 | კრასიმირ ბალაკოვი | შტუტგარტი, გერმანია | 29 | მარტი | 1966 |
| 11 | იორდან ლეჩკოვი | ჰამბურგი, გერმანია | 9 | ივლისი | 1967 |
| 13 | ბონჩო გენჩევი | ლუთონი, ინგლისი | 7 | ივლისი | 1964 |
| 15 | ივაილო იორდანოვი | სპორტინგი, პორტუგალია | 12 | იანვარი | 1966 |
| 16 | დანიელ ბორიმიროვი | მიუნხენი, გერმანია | 15 | იანვარი | 1970 |
| 20 | გეორგი დონკოვი | ცსკა | 2 | ივნისი | 1970 |
| 21 | ივო გეორგიევი | სპარტაკი | 12 | მაისი | 1972 |

**თავდამსხმელები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | ემილ კოსტადინოვი | ბაიერნი, გერმანია | 12 | აგვისტო | 1967 |
| 8 | ხრისტო სტოიჩკოვი | პარმა, იტალია | 8 | თებერვალი | 1966 |
| 9 | ლუბო პენევი | ატლეტიკო, ესპანეთი | 31 | აგვისტო | 1966 |
| 14 | ნასკო სირაკოვი | სლავია | 26 | აპრილი | 1962 |

# რუმინეთი

### შესარჩევი მატჩები

შინ აზერბაიჯანი 3:0
*ბელოდედიჩი, პეტრესკუ, რადუჩიოუ*
სტუმრად საფრანგეთი 0:0
შინ სლოვაკეთი 3:2
*პოპესკუ, ჰაჯი, პროდანი*
სტუმრად ისრაელი 1:1
*ლეკეტუში*
შინ პოლონეთი 2:1
*რადუჩიოუ, ავტოგოლი*
სტუმრად აზერბაიჯანი 4:1
*რადუჩიოუ-3, დუმიტრესკუ*
შინ ისრაელი 2:1
*ლეკეტუში, მუნტეანუ*
სტუმრად პოლონეთი 0:0
შინ საფრანგეთი 1:3
*ლეკეტუში*
სტუმრად სლოვაკეთი 2:0
*ჰაჯი, მუნტეანუ*

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 04.02 | დოჰა. | ყატარი | 3:2 |
| 09.02 | ბანგკოკი. | დანია | 2:2 |
| 11.02 | ბანგკოკი. | ტაილანდი | 3:0 |
| 13.02 | ბანგკოკი. | ფინეთი | 1:1 |
| 16.02 | ბანგკოკი. | დანია | 2:1 |
| 27.03 | ბელგრადი. | იუგოსლავია | 0:1 |
| 24.04 | ბუქარესტი. | საქართველო | 5:0 |
| 01.06 | ბუქარესტი. | მოლდოვა | 3:1 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 10 ივნისი | ნიუკასლი. | საფრანგეთი |
| 13 ივნისი | ნიუკასლი. | ბულგარეთი |
| 18 ივნისი | ლიდსი. | ესპანეთი |



**ანგელ იორდანესკუ**

დაიბადა 1950 წლის 4 მარტს

„სტიაუაში“ ხანგრძლივი საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერის შემდეგ 1993 წელს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე შეცვალა კორნელ დინუ. როგორც ფეხბურთელმა რუმინეთის ეროვნულ გუნდში ითამაშა 64-ჯერ, გაიტანა 26 გოლი და ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. 1986 წელს „სტიაუამ“ „ბარსელონას“ ჩემპიონთა თასის ფინალი რომ მოუგო, იგი მწვრთნელის თანაშემწეც იყო და სათადარიგო მოთამაშეც. 1990-92 წლებში კვიპროსზე „ანორთოსის ფამაგუსტას“ ხელმძღვანელობდა.

**მეკარეები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოგდან სტელია | სტიაუა | 5 | დეკემბერი | 1967 |
| 12 | ფლორინ პრუნია | დინამო | 8 | აგვისტო | 1968 |
| 22 | ფლორინ ცენე | რაპიდი, ბუქარესტი | 10 | ნოემბერი | 1968 |

**მცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | დან პეტრესკუ | ჩელსი, ინგლისი | 22 | დეკემბერი | 1967 |
| 3 | დანიელ პროდანი | სტიაუა | 23 | მარტი | 1972 |
| 4 | მიოდრაგ ბელოდედიჩი | ვილარეალი, ესპანეთი | 20 | მაისი | 1964 |
| 13 | ტიბორ შეიმეში | სერკლ ბრიუგე, ბელგია | 14 | მაისი | 1970 |
| 15 | ანტონ დობოში | სტიაუა | 13 | ოქტომბერი | 1965 |
| 16 | გეორგ მიხალი | გინგამი, საფრანგეთი | 9 | თებერვალი | 1965 |
| 17 | იულიან ფილიპესკუ | სტიაუა | 29 | მარტი | 1974 |

**ნახევარმცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | იონ ლუპესკუ | ლევერკუზენი, გერმანია | 9 | დეკემბერი | 1968 |
| 6 | გეორგ პოპესკუ | ბარსელონა, ესპანეთი | 9 | ოქტომბერი | 1967 |
| 8 | ოვიდიუ საბეუ | ბრეშია, იტალია | 12 | თებერვალი | 1968 |
| 10 | გეორგ ჰაჯი | ბარსელონა, ესპანეთი | 5 | თებერვალი | 1965 |
| 11 | დორინელ მუნტიანუ | კიოლნი, გერმანია | 25 | ივნისი | 1968 |
| 14 | კონსტანტინ გილჩა | სტიაუა | 8 | მარტი | 1972 |
| 18 | ოვიდიუ სტინგა | სალამანკა, ესპანეთი | 5 | დეკემბერი | 1972 |
| 19 | ადრიან ილიე | სტიაუა | 20 | აპრილი | 1974 |

**თავდამსხმელები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | მარიუს ლეკეტუში | სტიაუა | 5 | აპრილი | 1964 |
| 9 | ფლორინ რადუჩოუ | ესპანიოლი, ესპანეთი | 17 | მარტი | 1970 |
| 20 | ვიორელ მოლდოვანი | ქსამაქსი, შვეიცარია | 8 | ივლისი | 1972 |
| 21 | იონ ვლადოიუ | სტიაუა | 5 | ნოემბერი | 1968 |

# საფრანგეთი

### შესარჩევი მატჩები

სტუმრად სლოვაკეთი 0:0
შინ რუმინეთი 0:0
სტუმრად პოლონეთი 0:0
სტუმრად აზერბაიჯანი 2:0
*პაპენი, ლოკო*
სტუმრად ისრაელი 0:0
შინ სლოვაკეთი 4:0
*ჟინოლა, ბლანი, გერენი, ავტოგოლი*
შინ პოლონეთი 1:1
*ჯორკაეფი*
შინ აზერბაიჯანი 10:0
*ჯორკაეფი-2, ლებეფი-2, გერენი, პედროსი, დიუგარი, ზიდანი, კოკარი, დესაი*
სტუმრად რუმინეთი 3:1
*კარამბიუ, ჯორკაეფი, ზიდანი*
შინ ისრაელი 2:0
*ჯორკაეფი, ლიზარაზუ*

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.01 | პარიზი. | პორტუგალია | 3:2 |
| 21.02 | ნიმი. | საბერძნეთი | 3:1 |
| 27.03 | ბრიუსელი. | ბელგია | 2:0 |
| 29.05 | სტრასბური. | ფინეთი | 2:0 |
| 01.06 | შტუტგარტი. | გერმანია | 1:0 |
| 05.06 | ლიდსი. | სომხეთი | 2:0 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 10 ივნისი | ნიუკასლი. | რუმინეთი |
| 15 ივნისი | ლიდსი. | ესპანეთი |
| 18 ივნისი | ნიუკასლი. | ბულგარეთი |



**ემე ჟაკე**

დაიბადა 1941 წლის 27 სექტემბერს

თამაშობდა „ლიონსა“ და „სენტ-ეტიენში“. ორჯერ მიიწვიეს საფრანგეთის ნაკრებში. ცნობილი იყო კარგ საკლუბო მოთამაშედ. როგორც მწვრთნელი ალბერ ბატეს და ჟან სნელას შეგირდობისას დაიხვეწა. შემდეგ მუშაობდა „ლიონში“, „ბორდოსა“ და „მონპელიეში“. 1994 წელს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე შეცვალა ჟერარ ულიე.

**მეკარეები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბერნარ ლამა | პარი სენ-ჟერმენი | 7 | აპრილი | 1963 |
| 16 | ფაბიენ ბარტეზი | მონაკო | 28 | ივნისი | 1971 |
| 22 | ბრუნო მარტინი | მონპელიე | 25 | იანვარი | 1962 |

**მცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | ჟოსელინ ანგლომა | ტორინო, იტალია | 7 | აგვისტო | 1965 |
| 3 | ერიკ დი მეკო | მონაკო | 7 | სექტემბერი | 1963 |
| 4 | ფრანკ ლებეფი | სტრასბური | 22 | იანვარი | 1968 |
| 5 | ლორან ბლანი | ოსერი | 19 | ნოემბერი | 1965 |
| 12 | ბისენ ლიზარაზუ | ბორდო | 9 | დეკემბერი | 1969 |
| 15 | ლილიან ტურამი | მონაკო | 1 | იანვარი | 1972 |
| 20 | ალენ როში | პარი სენ-ჟერმენი | 14 | ოქტომბერი | 1967 |

**ნახევარმცველები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | ვინსენ გერენი | პარი სენ-ჟერმენი | 22 | ნოემბერი | 1965 |
| 7 | დიდიე დეშამპი | იუვენტუსი, იტალია | 15 | ნოემბერი | 1968 |
| 8 | მარსელ დესაი | მილანი, იტალია | 7 | სექტემბერი | 1968 |
| 10 | ზინედინ ზიდანი | ბორდო | 23 | ივნისი | 1972 |
| 14 | საბრი ლამუში | ოსერი | 9 | ნოემბერი | 1971 |
| 18 | რეინალდ პედროსი | ნანტი | 10 | ოქტომბერი | 1971 |
| 19 | კრისტიან კარემბუ | სამპდორია, იტალია | 3 | დეკემბერი | 1970 |
| 21 | კორენტინ მარტენსი | ოსერი | 11 | ივლისი | 1969 |

**თავდამსხმელები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | იური ჯორკაეფი | პარი სენ-ჟერმენი | 9 | მარტი | 1968 |
| 11 | პატრის ლოკო | პარი სენ-ჟერმენი | 6 | თებერვალი | 1970 |
| 13 | კრისტოფ დუგარი | ბორდო | 24 | მარტი | 1972 |
| 17 | მიშელ მადარი | მონაკო | 8 | მაისი | 1968 |

# გერმანია

**შესარჩევი მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| სტუმრად | ალბანეთი | 2:1 |
| | *კლინსმანი, კირსტენი* | |
| სტუმრად | მოლდოვა | 3:0 |
| | *კირსტენი, კლინსმანი, მათეუსი* | |
| შინ | ალბანეთი | 2:1 |
| | *მათეუსი, კლინსმანი* | |
| სტუმრად | საქართველო | 2:0 |
| | *კლინსმანი-2* | |
| შინ | უელსი | 1:1 |
| | *ჰერლიხი* | |
| სტუმრად | ბულგარეთი | 2:3 |
| | *კლინსმანი, შტრუნცი* | |
| შინ | საქართველო | 4:1 |
| | *მიოლერი, ციგე, კირსტენი, ბაბელი* | |
| შინ | მოლდოვა | 6:1 |
| | *ზამერი-2, მიოლერი-2, ჰელმერი, ავტოგოლი* | |
| სტუმრად | უელსი | 2:1 |
| | *კლინსმანი, ავტოგოლი* | |
| შინ | ბულგარეთი | 3:1 |
| | *კლინსმანი-2, ჰესლერი* | |

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.02 | პორტუ. | პორტუგალია | 2:1 |
| 27.03 | მიუნხენი. | დანია | 2:0 |
| 24.04 | როტერდამი. | ჰოლანდია | 1:0 |
| 28.05 | ბელფასტი. | ჩრდ. ირლანდია | 1:1 |
| 01.06 | შტუტგარტი. | საფრანგეთი | 0:1 |
| 04.06 | მანჰაიმი. | ლიხტენშტეინი | 9:1 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 9 ივნისი | მანჩესტერი. | ჩეხეთი |
| 16 ივნისი | მანჩესტერი. | რუსეთი |
| 19 ივნისი | მანჩესტერი. | იტალია |



**ბერტი ფოგტსი**

დაიბადა 1946 წლის 30 დეკემბერს

1990 წელს ჩაიბარა მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი. თანამდებობაზე შეცვალა ფრანც ბეკენბაუერი. ფეხბურთელობისას მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" თამაშობდა. ხუთჯერ იყო გფრ-ის ჩემპიონი, ერთხელ — თასის მფლობელი. ორჯერ მოიპოვა უეფას თასი. 1971 და 1979 წლებში იყო გფრ-ის წლის საუკეთესო ფეხბურთელი. 1974 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ნაკრებში ითამაშა 96-ჯერ. თამაშს თავი 1979 წელს დაანება, რის შემდეგაც წვრთნიდა ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | ანდრეას კეპკე | აინტრახტი | 12 | მარტი | 1962 |
| 12 | ოლივერ კანი | ბაიერნი | 15 | ივნისი | 1969 |
| 22 | ოლივერ რეკი | ვერდერი | 27 | თებერვალი | 1965 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | შტეფან როიტერი | დორტმუნდი | 16 | ოქტომბერი | 1966 |
| 5 | თომას ჰელმერი | ბაიერნი | 21 | აპრილი | 1965 |
| 6 | მათიას ზამერი | დორტმუნდი | 5 | სექტემბერი | 1967 |
| 14 | მარკუს ბაბელი | ბაიერნი | 8 | სექტემბერი | 1972 |
| 15 | იურგენ კოლერი | დორტმუნდი | 6 | ოქტომბერი | 1965 |
| 16 | რენე შნაიდერი | ჰანზა | 1 | თებერვალი | 1973 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 3 | მარკო ბოდე | ვერდერი | 23 | ივლისი | 1969 |
| 4 | შტეფან ფროინდი | დორტმუნდი | 19 | იანვარი | 1970 |
| 7 | ანდრეას მიოლერი | დორტმუნდი | 2 | სექტემბერი | 1967 |
| 8 | მეჰმეთ შოლი | ბაიერნი | 16 | ოქტომბერი | 1970 |
| 10 | თომას ჰესლერი | კარლსრუე | 30 | მაისი | 1966 |
| 13 | მარიო ბასლერი | ვერდერი | 18 | დეკემბერი | 1968 |
| 17 | კრისტიან ციგე | ბაიერნი | 1 | თებერვალი | 1972 |
| 19 | თომას შტრუნცი | ბაიერნი | 25 | აპრილი | 1968 |
| 21 | დიტერ აილტსი | ვერდერი | 13 | დეკემბერი | 1964 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 9 | ფრედი ბობიჩი | შტუტგარტი | 30 | ოქტომბერი | 1971 |
| 11 | შტეფან კუნცი | ბეშიქთაში, თურქეთი | 30 | ოქტომბერი | 1962 |
| 18 | იურგენ კლინსმანი | ბაიერნი | 30 | ივლისი | 1964 |
| 20 | ოლივერ ბირჰოფი | უდინეზე, იტალია | 1 | მაისი | 1968 |

# ჩეხეთი

**შესარჩევი მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| შინ | მალტა | 6:1 |
| | *ზიგლი-3, შმეიკალი, კუბიკი, ბერგერი* | |
| სტუმრად | მალტა | 0:0 |
| სტუმრად | ჰოლანდია | 0:0 |
| შინ | ბელარუსი | 4:2 |
| | *ბერგერი-2, კადლეცი, კუკა* | |
| შინ | ჰოლანდია | 3:1 |
| | *სკუჰრავი, ნემეჩეკი, ბერგერი* | |
| სტუმრად | ლუქსემბურგი | 0:1 |
| სტუმრად | ნორვეგია | 1:1 |
| | *სუხოპარეკი* | |
| შინ | ნორვეგია | 2:0 |
| | *სკუჰრავი, დრულაკი* | |
| სტუმრად | ბელარუსი | 2:0 |
| | *ფრიდეკი, ბერგერი* | |
| შინ | ლუქსემბურგი | 3:0 |
| | *დრულაკი-2, ბერგერი* | |

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 26.03 | ოსტრავა. | თურქეთი | 3:0 |
| 24.04 | პრაღა. | ირლანდია | 2:0 |
| 29.05 | ზალცბურგი. | ავსტრია | 0:1 |
| 01.06 | ბაზელი. | შვეიცარია | 2:1 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 9 ივნისი | მანჩესტერი. | გერმანია |
| 14 ივნისი | ლივერპული. | იტალია |
| 19 ივნისი | ლივერპული. | რუსეთი |



**დუშან უგრინი**

დაიბადა 1943 წლის 5 თებერვალს

თამაშობდა მეორეხარისხოვან გუნდებში. მწვრთნელობას პრაღის „ადმირაში" მიჰყო ხელი. ხელმძღვანელობდა „სპარტას", „ბოჰემიანსს", „ჰრადეც-კრალოვეს". მუშაობდა ალჟირსა და კვიპროსზე. 1991, 92, 93 წლებში ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელი იყო. ნაკრებს 1993 წელს ჩაუდგა სათავეში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | პეტერ კოუბა | სპარტა | 28 | იანვარი | 1969 |
| 16 | პაველ სრნიჩეკი | ნიუკასლი, ინგლისი | 10 | მარტი | 1968 |
| 22 | ლადისლავ მაიერი | სლოვანი | 4 | იანვარი | 1966 |
| | **მცველები** | | | | |
| 3 | იან სუხოპარეკი | სლავია | 23 | სექტემბერი | 1969 |
| 5 | მიროსლავ კადლეცი | კაიზერსლაუტერი, გერმანია | 22 | ივნისი | 1964 |
| 12 | ლუბოშ კუბიკი | პეტრა | 20 | იანვარი | 1964 |
| 15 | მიხალ ჰორნიაკი | სპარტა | 28 | აპრილი | 1970 |
| 18 | მარტინ კოტულეკი | სიგმა | 11 | სექტემბერი | 1969 |
| 19 | კარელ რადა | სიგმა | 2 | მარტი | 1971 |
| 20 | პაველ ნოვოტნი | სლავია | 14 | სექტემბერი | 1973 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 2 | რადოსლავ ლატალი | შალკე, გერმანია | 6 | იანვარი | 1970 |
| 4 | პაველ ნედვედი | სპარტა | 30 | აგვისტო | 1972 |
| 6 | ვაცლავ ნემეჩეკი | სერვეტი, შვეიცარია | 25 | იანვარი | 1967 |
| 7 | ირჟი ნემეცი | შალკე, გერმანია | 15 | მაისი | 1966 |
| 8 | კარელ პობორსკი | სლავია | 30 | მარტი | 1972 |
| 11 | მარტინ ფრიდეკი | სპარტა | 9 | მარტი | 1969 |
| 13 | რადეკ ბეიბლი | სლავია | 29 | აგვისტო | 1972 |
| 14 | პატრიკ ბერგერი | დორტმუნდი, გერმანია | 10 | ნოემბერი | 1973 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 9 | პაველ კუკა | კაიზერსლაუტერნი, გერმანია | 19 | ივლისი | 1968 |
| 10 | რადეკ დრულაკი | პეტრა | 12 | იანვარი | 1962 |
| 17 | ვლადიმირ შმიცერი | სლავია | 24 | მაისი | 1973 |
| 21 | რომან კერბრი | სიგმა | 9 | ივნისი | 1967 |

# იტალია

**შესარჩევი მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| სტუმრად | სლოვენია | 1:1 |
| | *კოსტაკურტა* | |
| სტუმრად | ესტონეთი | 2:0 |
| | *პანუჩი, კაზირაგი* | |
| შინ | ხორვატია | 1:2 |
| | *დ. ბაჯო* | |
| შინ | ესტონეთი | 4:1 |
| | *ძოლა-2, ალბერტინი, რავანელი* | |
| სტუმრად | უკრაინა | 2:0 |
| | *ლომბარდო, ძოლა* | |
| სტუმრად | ლიტვა | 1:0 |
| | *ძოლა* | |
| შინ | სლოვენია | 1:0 |
| | *რავანელი* | |
| სტუმრად | ხორვატია | 1:1 |
| | *ალბერტინი* | |
| შინ | უკრაინა | 3:1 |
| | *რავანელი-2, მალდინი* | |
| შინ | ლიტვა | 4:0 |
| | *ძოლა-3, დელ პიერო* | |

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.01 | ტერნი. | უელსი | 3:0 |
| 01.06 | ბუდაპეშტი. | უნგრეთი | 2:0 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 11 ივნისი | ლივერპული. | რუსეთი |
| 14 ივნისი | ლივერპული. | ჩეხეთი |
| 19 ივნისი | მანჩესტერი. | გერმანია |



**არიგო საკი**

დაიბადა 1946 წლის 1 აპრილს

როდესაც სილვიო ბერლუსკონიმ „მილანის" მწვრთნელად მიიწვია, საკი მაშინ სერია C-ში მოასპარეზე „პარმას" ედგა სათავეში. „მილანს" მან 1987-91 წლებში მოაპოვებინა ქვეყნის ჩემპიონობა, ორჯერ ჩემპიონთა თასი და საკონტინენტთაშორისო თასი. 1991 წელს მან ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე შეცვალა აზელიო ვიჩინი. საკის მიიჩნევენ იტალიური ფეხბურთის რეფორმატორად და შეტევი სტილის დამნერგავად.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | ანჯელო პერუცი | იუვენტუსი | 16 | თებერვალი | 1970 |
| 12 | ფრანჩესკო ტოლდო | ფიორენტინა | 2 | დეკემბერი | 1971 |
| 22 | ლუკა ბუჩი | პარმა | 13 | მარტი | 1969 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | ლუიჯი აპოლონი | პარმა | 2 | მაისი | 1967 |
| 3 | პაოლო მალდინი | მილანი | 26 | ივნისი | 1968 |
| 4 | ამადეო კარბონი | რომა | 6 | აპრილი | 1965 |
| 5 | ალესანდრო კოსტაკურტა | მილანი | 24 | აპრილი | 1966 |
| 6 | ალესანდრო ნესტა | ლაციო | 19 | მარტი | 1976 |
| 8 | რობერტო მუსი | პარმა | 25 | აგვისტო | 1963 |
| 9 | მორენო ტორიჩელი | იუვენტუსი | 23 | იანვარი | 1970 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 7 | რობერტო დონადონი | მეტროსტარზი, აშშ | 9 | მარტი | 1963 |
| 10 | დემეტრიო ალბერტინი | მილანი | 23 | აგვისტო | 1971 |
| 11 | დინო ბაჯო | პარმა | 24 | ივლისი | 1971 |
| 13 | ფაბიო როსიტო | უდინეზე | 21 | სექტემბერი | 1971 |
| 15 | ანჯელო დი ლივიო | იუვენტუსი | 26 | ივლისი | 1966 |
| 16 | რობერტო დი მატეო | ლაციო | 29 | მაისი | 1970 |
| 17 | დიეგო ფუზერი | ლაციო | 11 | ნოემბერი | 1968 |
| 21 | ჯანფრანკო ძოლა | პარმა | 5 | ივლისი | 1966 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 14 | ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 9 | ნოემბერი | 1974 |
| 18 | პიერლუიჯი კაზირაგი | ლაციო | 4 | მარტი | 1969 |
| 19 | ენრიკო კიეზა | სამპდორია | 29 | დეკემბერი | 1970 |
| 20 | ფაბრიციო რავანელი | იუვენტუსი | 11 | დეკემბერი | 1968 |

# რუსეთი

**შესარჩევი მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| შინ | სან-მარინო | 4:0 |
| | *კარპინი, კოლივანოვი, ნიკიფოროვი, რადჩენკო* | |
| სტუმრად | შოტლანდია | 1:1 |
| | *რადჩენკო* | |
| შინ | შოტლანდია | 0:0 |
| სტუმრად | საბერძნეთი | 3:0 |
| | *ნიკიფოროვი, ბესჩასტნიხი, ავტოგოლი* | |
| შინ | ფარერები | 3:0 |
| | *კეჩინოვი, პისარევი, მუხამადიევი* | |
| სტუმრად | სან-მარინო | 7:0 |
| | *დობროვოლსკი, კულკოვი, კირიაკოვი, შალიმოვი, ბესჩასტნიხი, კოლივანოვი, ჩერიშევი* | |
| სტუმრად | ფინეთი | 6:0 |
| | *კულკოვი-2, კოლივანოვი-2, კარპინი, რადჩენკო* | |
| სტუმრად | ფარერები | 5:2 |
| | *მოსტოვოი, კირიაკოვი, კოლივანოვი, ციმბალარი, შალიმოვი* | |
| შინ | საბერძნეთი | 2:1 |
| | *ონოპკო, ავტოგოლი* | |
| შინ | ფინეთი | 3:1 |
| | *რადჩენკო, კულკოვი, კირიაკოვი* | |

**წლეულს ჩატარებული მატჩები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.02 | ლა-ვალეტა. | მალტა | 2:0 |
| 09.02 | ლა-ვალეტა. | ისლანდია | 3:0 |
| 11.02 | ლა-ვალეტა. | სლოვენია | 3:1 |
| 27.03 | დუბლინი. | ირლანდია | 2:0 |
| 24.04 | ბრიუსელი. | ბელგია | 0:0 |
| 25.05 | დოჰა. | ყატარი | 5:2 |
| 29.05 | მოსკოვი. | საემიროები | 1:0 |
| 02.06 | მოსკოვი. | პოლონეთი | 2:0 |

**ჯგუფური ტურნირის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 11 ივნისი | ლივერპული. | იტალია |
| 16 ივნისი | მანჩესტერი. | გერმანია |
| 19 ივნისი | მანჩესტერი. | ჩეხეთი |



**ოლეგ რომანცევი**

დაიბადა 1954 წლის 4 იანვარს

თამაშობდა ბესკოვის დროინდელ მოსკოვის „სპარტაკში". 10-ჯერ ათამაშეს სსრკ ნაკრებში. 1989 წელს „სპარტაკის" მწვრთნელად რომ დანიშნეს, უმაღლესი ლიგის მწვრთნელად არასდროს ემუშავა. 1992, 93 და 94 წლებში „სპარტაკს" რუსეთის პირველობა მოაგებინა. ნაკრებში 1994 წელს პაველ სადირინი შეცვალა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | დმიტრი ხარინი | ჩელსი, ინგლისი | 16 | აგვისტო | 1968 |
| 12 | სტანისლავ ჩერჩესოვი | ტიროლი, ავსტრია | 2 | სექტემბერი | 1963 |
| 22 | სერგეი ოვჩინიკოვი | ლოკომოტივი | 10 | ნოემბერი | 1970 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | ომარ თეთრაძე | ალანია | 13 | ოქტომბერი | 1969 |
| 3 | იური ნიკიფოროვი | სპარტაკი | 16 | სექტემბერი | 1970 |
| 5 | იური კოვტუნი | დინამო | 5 | იანვარი | 1970 |
| 7 | ვიქტორ ონოპკო | ოვიედო, ესპანეთი | 14 | ოქტომბერი | 1969 |
| 13 | ევგენი ბუშმანოვი | ცსკა | 2 | ნოემბერი | 1971 |
| 20 | სერგეი გორლუკოვიჩი | სპარტაკი | 18 | ნოემბერი | 1961 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 4 | ილია ციმბალარი | სპარტაკი | 17 | თებერვალი | 1969 |
| 6 | ვალერი კარპინი | სოსიედადი, ესპანეთი | 2 | თებერვალი | 1969 |
| 8 | ანდრეი კანჩელსკისი | ევერტონი, ინგლისი | 23 | იანვარი | 1969 |
| 10 | ალექსანდრ მოსტოვოი | სტრასბური, საფრანგეთი | 22 | აგვისტო | 1968 |
| 15 | იგორ შალიმოვი | უდინეზე, იტალია | 2 | თებერვალი | 1969 |
| 17 | ვლადიმირ ბესჩასტნიხი | ვერდერი, გერმანია | 1 | აპრილი | 1974 |
| 18 | იგორ იანოვსკი | ალანია | 3 | აგვისტო | 1974 |
| 19 | ვლადისლავ რადიმოვი | ცსკა | 26 | ნოემბერი | 1975 |
| 21 | დმიტრი ხოხლოვი | ცსკა | 22 | დეკემბერი | 1975 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 9 | იგორ კოლივანოვი | ფოჯა, იტალია | 6 | მარტი | 1968 |
| 11 | სერგეი კირიაკოვი | კარლსრუე, გერმანია | 1 | იანვარი | 1970 |
| 14 | იგორ დობროვოლსკი | უგუნდოდ | 27 | აგვისტო | 1967 |
| 16 | იგორ სიმუტენკოვი | რეჯანა, იტალია | 3 | აპრილი | 1973 |

# დანია

### შესარჩევი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| სტუმრად | მაკედონია | 1:1 |
| | *პოლსენი* | |
| შინ | ბელგია | 3:1 |
| | *ვილფორტი, ი. იენსენი, შტრუდალი* | |
| სტუმრად | ესპანეთი | 0:3 |
| სტუმრად | კვიპროსი | 1:1 |
| | *შენბერგი* | |
| შინ | მაკედონია | 1:0 |
| | *პ. ნილსენი* | |
| შინ | კვიპროსი | 4:0 |
| | *ვილფორტი-2, ბ. ლაუდრუპი მ. ლაუდრუპი* | |
| სტუმრად | სომხეთი | 2:0 |
| | *მ. ლაუდრუპი, ა. ნილსენი* | |
| სტუმრად | ბელგია | 3:1 |
| | *მ. ლაუდრუპი, ბეკი, ვილფორტი* | |
| შინ | ესპანეთი | 1:1 |
| | *ვილფორტი* | |
| შინ | სომხეთი | 3:1 |
| | *შენბერგი, ბეკი, მ. ლაუდრუპი* | |

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.02 | ბანგკოკი. | რუმინეთი | 2:2 |
| 11.02 | ბანგკოკი. | ფინეთი | 0:0 |
| 13.02 | ბანგკოკი. | ტაილანდი | 3:1 |
| 16.02 | ბანგკოკი. | რუმინეთი | 1:2 |
| 27.03 | მიუნხენი. | გერმანია | 0:2 |
| 24.04 | კოპენჰაგენი. | შოტლანდია | 2:0 |
| 02.06 | კოპენჰაგენი. | განა | 1:0 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 9 ივნისი | შეფილდი. | პორტუგალია |
| 16 ივნისი | შეფილდი. | ხორვატია |
| 19 ივნისი | შეფილდი. | თურქეთი |



**რიქარდ მიოლერ-ნილსენი**

დაიბადა 1937 წლის 19 აგვისტოს

ფეხბურთელობისას დანიის ნაკრებში ორჯერ ათამაშეს. უშელავათო მანერის გამო მეტსახელად „ლომგულს" უწოდებდნენ. ტრავმამ საკმაოდ ახალგაზრდა ჩამოაშორა მოედანს და მანაც მწვრთნელის სკამზე გადაინაცვლა. 1977 და 1982 წლებში „ოდენსე" დანიის ჩემპიონი გახადა. წვრთნიდა ქვეყნის 21 წლამდე და ოლიმპიურ ნაკრებებს. 1990 წელს შეცვალა ზეპ პიონტეკი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | პეტერ შმაიხელი | მანჩესტერ იუნ., ინგლისი | 18 | ნოემბერი | 1963 |
| 16 | ლარს ჰოგი | ოდენსე | 14 | იანვარი | 1959 |
| 22 | მოგენს კროგი | ბრონდბიუ | 31 | ოქტომბერი | 1963 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | თომას ჰელვეგი | უდინეზე, იტალია | 24 | ივნისი | 1971 |
| 3 | მარკ რიპერი | ვესტ ჰემი, ინგლისი | 6 | ივნისი | 1968 |
| 4 | ლარს ოლსენი | ბრონდბიუ | 2 | თებერვალი | 1961 |
| 5 | იენს ჰოგი | ფენერბაჰჩე, თურქეთი | 7 | მაისი | 1966 |
| 12 | ტორბენ პიხნიკი | ორჰუსი | 21 | მაისი | 1963 |
| 14 | იენს რისაგერი | ბრონდბიუ | 9 | აპრილი | 1971 |
| 20 | იაკობ ლაურსენი | სილკებორგი | 6 | ოქტომბერი | 1971 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 6 | მიქაელ შენბერგი | ოდენსე | 19 | იანვარი | 1967 |
| 7 | ბრიან სტინ-ნილსენი | ოდენსე | 28 | დეკემბერი | 1962 |
| 8 | კლაუს თომსენი | იფსვიჩი, ინგლისი | 31 | მაისი | 1970 |
| 10 | მიქაელ ლაუდრუპი | რეალი, ესპანეთი | 15 | ივნისი | 1964 |
| 13 | ჰენრიკ ლარსენი | ლუნგბიუ | 17 | მაისი | 1966 |
| 17 | ალან ნილსენი | ბრონდბიუ | 13 | მარტი | 1971 |
| 18 | კიმ ვილფორტი | ბრონდბიუ | 15 | ნოემბერი | 1962 |
| 19 | სტიგ ტოფტინგი | ორჰუსი | 14 | აგვისტო | 1969 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 9 | მიქელ ბეკი | ფორტუნა (კ), გერმანია | 12 | მაისი | 1973 |
| 11 | ბრიან ლაუდრუპი | რეინჯერსი, შოტლანდია | 22 | თებერვალი | 1969 |
| 15 | ერიკ-ბო ანდერსენი | რეინჯერსი, შოტლანდია | 14 | ნოემბერი | 1970 |
| 21 | სიორენ ანდერსენი | ოლბორგი | 31 | იანვარი | 1970 |

# პორტუგალია

### შესარჩევი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| სტუმრად | ჩრდ. ირლანდია | 2:1 |
| | *რუი კოშტა, დომინგუში* | |
| სტუმრად | ლატვია | 3:1 |
| | *ჟოაო პინტუ-2, ფიგუ* | |
| შინ | ავსტრია | 1:0 |
| | *ფიგუ* | |
| შინ | ლიხტენშტეინი | 8:0 |
| | *დომინგუში-2, პაულუ ალვეში-2, ოსეანუ, ჟოაო პინტუ, კოუტუ, ფოლია* | |
| სტუმრად | ირლანდია | 0:1 |
| შინ | ლატვია | 3:2 |
| | *ფიგუ, სეკრეტარიუ, დომინგუში* | |
| სტუმრად | ლიხტენშტეინი | 7:0 |
| | *პაულუ ალვეში-3, რუიკოშტა-2, სანტუში, დომინგუში* | |
| შინ | ჩრდ. ირლანდია | 1:1 |
| | *დომინგუში* | |
| სტუმრად | ავსტრია | 1:1 |
| | *სანტუში* | |
| შინ | ირლანდია | 3:0 |
| | *რუი კოშტა, ჰელდერი, კადეტე* | |

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.01 | პარიზი. | საფრანგეთი | 2:3 |
| 21.02 | პორტუ. | გერმანია | 1:2 |
| 27.03 | ლისაბონი. | საბერძნეთი | 1:0 |
| 29.05 | დუბლინი. | ირლანდია | 1:0 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 9 ივნისი | შეფილდი. | დანია |
| 14 ივნისი | ნოტინგემი. | თურქეთი |
| 19 ივნისი | ნოტინგემი. | ხორვატია |



**ანტონიო ლუის ალვეს რიბეირო დე ოლივეირა**

დაიბადა 1952 წლის 10 ივნისს

თამაშობდა „პორტუში", „პენაფიელსა" და „სპორტინგში". 228 შეხვედრაში გაიტანა 107 გოლი. ბოლოს გამოდიოდა ესპანეთის „რეალ ბეტისში", 1985 წელს კი „ნასიონალში" დაიწყო მწვრთნელად მუშაობა. შემდგომ ოლივეირა ხელმძღვანელობდა „გიმარაეშს", „აკადემია კოიმბრას", „ჟილ ვისენტეს" და „ბრაგას". 1994 წელს დანიშნეს ნაკრების ტექნიკურ დირექტორად. გახლავთ ბიზნესმენი, რომლის ოჯახიც ფლობს ქვეყნის ყველა დიდ სტადიონზე რეკლამათა და ტელეტრანსლიაციების მონოპოლიას.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | ვიტორ ბაია | პორტუ | 15 | ოქტომბერი | 1969 |
| 12 | ალფრედუ კაშტრუ | ბოავიშტა | 5 | ოქტომბერი | 1962 |
| 22 | რუი კორეა | ბრაგა | 22 | ოქტომბერი | 1967 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | კარლუშ სეკრეტარიუ | პორტუ | 12 | მაისი | 1970 |
| 5 | ფერნანდუ კოუტუ | პარმა, იტალია | 2 | აგვისტო | 1969 |
| 13 | დიმაშ ტეიშეირა | ბენფიკა | 16 | თებერვალი | 1969 |
| 16 | ჰელდერ კრისტოვაო | ბენფიკა | 21 | მარტი | 1971 |
| 21 | პაულუ მადეირა | ბელენენსეში | 6 | სექტემბერი | 1970 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 3 | პაულინიუ სანტუში | პორტუ | 21 | ნოემბერი | 1970 |
| 4 | ოსეანუ კრუზი | სპორტინგი | 29 | ივლისი | 1962 |
| 6 | ჟოზე ტავარეში | ბოავიშტა | 23 | აპრილი | 1966 |
| 7 | ვიტორ პანეირა | გიმარაეში | 16 | თებერვალი | 1966 |
| 10 | რუი კოშტა | ფიორენტინა, იტალია | 29 | მარტი | 1972 |
| 19 | პაულუ სოუზა | იუვენტუსი, იტალია | 3 | აგვისტო | 1970 |
| 20 | ლუიშ ფიგუ | ბარსელონა, ესპანეთი | 4 | ნოემბერი | 1972 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 8 | ჟოაო ვიეირა პინტუ | ბენფიკა | 19 | აგვისტო | 1971 |
| 9 | რიკარდუ სა პინტუ | სპორტინგი | 10 | ოქტომბერი | 1971 |
| 11 | ჟორჟე კადეტე | სელტიკი, შოტლანდია | 27 | აგვისტო | 1968 |
| 14 | პედრუ ბარბოზა | სპორტინგი | 6 | აგვისტო | 1970 |
| 15 | დომინგუშ ოლივეირა | პორტუ | 2 | იანვარი | 1969 |
| 17 | უგო პორფირიუ | ლეირია | 28 | სექტემბერი | 1973 |
| 18 | ანტონიუ ფოლია | პორტუ | 21 | მაისი | 1971 |

# თურქეთი

### შესარჩევი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| სტუმრად | უნგრეთი | 2:2 |
| | *ჰაქანი, ბიულენთი* | |
| შინ | ისლანდია | 5:0 |
| | *საფეთი-2, ჰაქანი-2, სერგენი* | |
| შინ | შვეიცარია | 1:2 |
| | *რეჯეფი* | |
| შინ | შვედეთი | 2:1 |
| | *ემრე, სერგენი* | |
| სტუმრად | შვეიცარია | 2:1 |
| | *ჰაქანი, ოგიუნი* | |
| შინ | უნგრეთი | 2:0 |
| | *ჰაქანი-2* | |
| სტუმრად | ისლანდია | 0:0 |
| სტუმრად | შვედეთი | 2:2 |
| | *ჰაქანი, ავტოგოლი* | |

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02 | იზმირი. | ბელარუსი | 3:2 |
| 26.03 | ოსტრავა. | ჩეხეთი | 0:3 |
| 09.04 | ბაქო. | აზერბაიჯანი | 1:0 |
| 01.05 | სამსუნი. | უკრაინა | 3:2 |
| 29.05 | ტალინი. | ესტონეთი | 0:0 |
| 02.06 | ჰელსინკი. | ფინეთი | 2:1 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 11 ივნისი | ნოტინგემი. | ხორვატია |
| 14 ივნისი | ნოტინგემი. | პორტუგალია |
| 19 ივნისი | შეფილდი. | დანია |



**ფატიხ თერიმი**

დაიბადა 1953 წლის 14 სექტემბერს

ადანაში დაბადებულ თერიმს ნაკრებში ყველა თურქზე მეტი — 51 თამაში აქვს ჩატარებული. მან 13 წელი ითამაშა „გალათასარაიში" ცენტრალურ მცველად და ლიბეროდ. სულ ადრე კი „ადანადემირსფორში" გამოდიოდა. მწვრთნელად გახდომის შემდეგ სათავეში ედგა „ანკარაგიუჯიუს" და იზმირის „გოზთეფეს", შემდეგ კი 21 წლამდე ნაკრები ჩაიბარა. 1993 წელს თანამდებობაზე შეცვალა ზეპ პიონტეკი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | ადნან ერქანი | ანკარაგიუჯიუ | 15 | იანვარი | 1968 |
| 21 | სანვერ გოიმენი | ალთაი | 22 | იანვარი | 1967 |
| 22 | რუსთუ რეჯბერი | ფენერბაჰჩე | 10 | მაისი | 1973 |
| | **მცველები** | | | | |
| 2 | რეჯეფ ჩეთინი | ბეშიქთაში | 1 | ოქტომბერი | 1965 |
| 3 | ალფაი ოზალანი | ბეშიქთაში | 29 | მაისი | 1979 |
| 8 | ოგიუნ თემიზქანოღლუ | ტრაბზონსფორი | 6 | ოქტომბერი | 1969 |
| 13 | რაჰიმ ზაფერი | გენჩლერბირლიგი | 25 | იანვარი | 1971 |
| 20 | ბიულენთ ქორქმაზი | გალათასარაი | 24 | ნოემბერი | 1968 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 4 | ვედათ ინჩეფე | ქარაბუქსფორი | 1 | აპრილი | 1974 |
| 5 | თუგაი ქერიმოღლუ | გალათასარაი | 24 | აგვისტო | 1970 |
| 10 | ოგიუზ ჩეთინი | ფენერბაჰჩე | 15 | თებერვალი | 1963 |
| 15 | ტაიფუნ ქორქუთი | ფენერბაჰჩე | 2 | აპრილი | 1974 |
| 16 | სერგენ იალჯინი | ბეშიქთაში | 5 | ოქტომბერი | 1972 |
| 17 | აბდულა ერქანი | ტრაბზონსფორი | 8 | დეკემბერი | 1971 |
| 19 | თოლუნაი ქაფქასი | ტრაბზონსფორი | 31 | მარტი | 1968 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 6 | ერთურგულ საგლამი | ბეშიქთაში | 19 | ნოემბერი | 1969 |
| 7 | ჰამი მანდირალი | ტრაბზონსფორი | 20 | ივლისი | 1968 |
| 9 | ჰაქან შუქური | გალათასარაი | 1 | სექტემბერი | 1971 |
| 11 | ორჰან ჩიქირიქჩი | ტრაბზონსფორი | 15 | აპრილი | 1967 |
| 12 | ფარუქ ჯიგითი | ქოჯაელისფორი | 15 | აპრილი | 1968 |
| 14 | საფეთ სანჩაქლი | ქოჯაელისფორი | 27 | თებერვალი | 1966 |
| 18 | არიფ ერდემი | გალათასარაი | 2 | იანვარი | 1972 |

# ხორვატია

### შესარჩევი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| სტუმრად | ესტონეთი | 2:0 |
| | *შუკერი-2* | |
| შინ | ლიტვა | 2:0 |
| | *იერკანი, კოზნიკუ* | |
| სტუმრად | იტალია | 2:1 |
| | *შუკერი-2* | |
| შინ | უკრაინა | 4:0 |
| | *შუკერი-2, ბობანი, პროსინეჩკი* | |
| სტუმრად | ლიტვა | 0:0 |
| შინ | სლოვენია | 2:0 |
| | *პროსინეჩკი, შუკერი* | |
| სტუმრად | უკრაინა | 0:1 |
| შინ | ესტონეთი | 7:1 |
| | *შუკერი-3, მლადენოვიჩი, ბოქშიჩი, ბობანი, სტიმაცი* | |
| შინ | იტალია | 1:1 |
| | *შუკერი* | |
| სტუმრად | სლოვენია | 2:1 |
| | *შუკერი, იურჩევიჩი* | |

### წლეულს ჩატარებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.02 | რიეკა. | პოლონეთი | 2:1 |
| 13.03 | ზაგრები. | სამხრ. კორეა | 3:0 |
| 26.03 | ვარაჟდინი. | ისრაელი | 2:0 |
| 10.04 | ოსიეკი. | უნგრეთი | 4:1 |
| 24.04 | ლონდონი. | ინგლისი | 0:0 |
| 01.06 | დუბლინი. | ირლანდია | 2:2 |

### ჯგუფური ტურნირის განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 11 ივნისი | ნოტინგემი. | თურქეთი |
| 16 ივნისი | შეფილდი. | დანია |
| 19 ივნისი | შეფილდი. | პორტუგალია |



**მიროსლავ ბლაჟევიჩი**

დაიბადა 1934 წლის 9 თებერვალს

ფეხბურთელობისას გამოდიოდა „რიეკაში", „სარაევოსა" და შვეიცარიის „სიონში". მწვრთნელად მუშაობდა „სიონში", „ლოზანაში", „გრასჰოპერში", „ნანტში", „პაოკში" და სამშობლოში. 1994 წელს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე შეცვალა ზლატკო მარკოვიჩი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | | | |
| 1 | დრაჟენ ლადიჩი | კროაცია | 1 | იანვარი | 1963 |
| 12 | მარიან მრმიჩი | ვარტექსი | 6 | მაისი | 1965 |
| 22 | ტონჩი გაბრიჩი | ჰაიდუკი | 11 | ნოემბერი | 1961 |
| | **მცველები** | | | | |
| 3 | რობერტ იარნი | ბეტისი, ესპანეთი | 26 | ოქტომბერი | 1968 |
| 4 | იგორ სტიმაცი | დერბი, ინგლისი | 6 | სექტემბერი | 1967 |
| 5 | ნიკოლა იერკანი | ოვიედო, ესპანეთი | 8 | დეკემბერი | 1964 |
| 6 | სლავენ ბილიჩი | ვესტ ჰემი, ინგლისი | 11 | სექტემბერი | 1968 |
| 14 | ზვონიმირ სოლდო | კროაცია | 2 | ნოემბერი | 1967 |
| 15 | დუბრავკო პავლიჩიჩი | ერკულესი, ესპანეთი | 28 | ნოემბერი | 1967 |
| 18 | ელვის ბრაიკოვიჩი | მიუნხენი, გერმანია | 12 | ივნისი | 1969 |
| 20 | დარიო შიმიჩი | კროაცია | 12 | ნოემბერი | 1975 |
| | **ნახევარმცველები** | | | | |
| 2 | ნიკოლა იურჩევიჩი | ფრაიბურგი, გერმანია | 14 | სექტემბერი | 1966 |
| 7 | ალიოშა ასანოვიჩი | ვალიადოლიდი, ესპანეთი | 14 | დეკემბერი | 1965 |
| 8 | რობერტ პროსინეჩკი | ბარსელონა, ესპანეთი | 12 | იანვარი | 1969 |
| 10 | ზვონიმირ ბობანი | მილანი, იატლია | 8 | ოქტომბერი | 1968 |
| 13 | მარიო სტანიჩი | ბრიუგე, ბელგია | 10 | აპრილი | 1972 |
| 16 | მლადენ მლადენოვიჩი | გამბა ოსაკა, იაპონია | 13 | სექტემბერი | 1964 |
| | **თავდამსხმელები** | | | | |
| 9 | დავორ შუკერი | სევილია, ესპანეთი | 1 | იანვარი | 1968 |
| 11 | ალენ ბოკშიჩი | იუვენტუსი, იტალია | 21 | იანვარი | 1970 |
| 17 | იგორ პამიჩი | ოსიეკი | 19 | ნოემბერი | 1969 |
| 19 | გორან ვლაოვიჩი | პადოვა, იტალია | 7 | აგვისტო | 1972 |
| 21 | იგორ ცვიტანოვიჩი | კროაცია | 1 | ნოემბერი | 1970 |

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

UEFA EURO 96 England

ევროპის ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 ივნისი | | | |
| ინგლისი — შვეიცარია | 1,3 | 3,0 | 6,7 |
| 9 ივნისი | | | |
| ესპანეთი — ბულგარეთი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| გერმანია — ჩეხეთი | 1,3 | 3,2 | 5,7 |
| დანია — პორტუგალია | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| 10 ივნისი | | | |
| ჰოლანდია — შოტლანდია | 1,45 | 3,1 | 4,2 |
| რუმინეთი — საფრანგეთი | 3,6 | 2,9 | 1,6 |
| 11 ივნისი | | | |
| იტალია — რუსეთი | 1,4 | 3,1 | 4,7 |
| თურქეთი — ხორვატია | 5,7 | 3,6 | 1,25 |

ფსონების შესაძლო ცვლილებენ ადგილზე დააზუსტეთ

## ევროპის ჩემპიონატი

EURO 96 England

### ჯგუფიდან გასვლის ფსონები

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,02 |
| იტალია | 1,03 |
| გერმანია | 1,05 |
| ჰოლანდია | 1,1 |
| ესპანეთი | 1,1 |
| საფრანგეთი | 1,3 |
| ხორვატია | 1,25 |
| რუსეთი | 2,4 |
| დანია | 1,4 |
| პორტუგალია | 1,25 |
| რუმინეთი | 2,0 |
| შოტლანდია | 2,2 |
| ბულგარეთი | 2,6 |
| ჩეხეთი | 5,0 |
| შვეიცარია | 5,0 |
| თურქეთი | 4,0 |

### ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,2 |
| იტალია | 2,2 |
| გერმანია | 2,5 |
| ჰოლანდია | 5,0 |
| ესპანეთი | 5,0 |
| საფრანგეთი | 7,0 |
| ხორვატია | 10,0 |
| რუსეთი | 10,0 |
| დანია | 15,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| რუმინეთი | 20,0 |
| შოტლანდია | 20,0 |
| ბულგარეთი | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 75,0 |
| თურქეთი | 100,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხაჭაპური ცხვება

ზესტაფონში დიდი ზეიმია — „მარგვეთი“ ევროპაში გავიდა! უხარია ყველას, დიდსაც და პატარასაც და ყველა ამაზე ლაპარაკობს. თავად შევესწარი, როგორ ჩაიკრა გულში დალოცვისა და მილოცვის სიტყვებით შვილმკვდარმა დედამ „მარგვეთის“ წევრები.

სიხარული სიხარულად, მაგრამ აქ არ ავიწყდებათ, რომ უეფას თასს ღირსეული მასპინძლობა ეგების. არადა, პრობლემა იმდენია...

### სტადიონი

გეხსომებათ, შარშან საქართველოში იმყოფებოდა უეფას სპეციალური წარმომადგენელი ერიხ ეპლე. მისი ჩამოსვლის მიზანი ჩვენი სტადიონების მონაზულებაშემოწმება გახლდათ. სტუმარმა ზოგი სტადიონი მოგვიწონა, ზოგიც დაგვიწუნა. ვარგისად მიჩნეულთა შორის ზესტაფონის სტადიონიც იყო, თუმცაღა ეპლემ რამდენიმე შენიშვნაც გამოთქვა: უნდა მოგვარდეს სასტუმროს პრობლემა, დამონტაჟდეს განათება ანძები, მოეწყოს პრეს-ლოჟა, გაკეთდეს ინდივიდუალური დასაჯდომები, შეკეთდეს ელექტროტაბლო ან დაიდგას ახალი, შემოსაღობია სტადიონი, რათა თამაშებზე არ შეიპარონ უბილეთო მაყურებლები, გასაახლებელია მოედნის საფარი, მოსაგვარებელია სტადიონის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი, შესარემონტებელია გასახდელები.მოკლედ, პრობლემები საკმაოა და თუ დარჩენილ დროში ისინი მოგვარდება, საქართველოს კიდევ ერთი კოპწია სტადიონი შეემატება. ამის იმედს ზესტაფონში შექმნილი საქმიანი ვითარება იძლევა. ზესტაფონის რაიონის გამგებელმა ჯემალ გორგოძემ, კითხვაზე, თუ ზესტაფონში სტადიონის მოწესრიგება ვერ მოესწრო, მაშინ სად ითამაშებს „მარგვეთიო“, არც დაფიქრებულა, ისე გვიპასუხა, ეს კითხვა დღის წესრიგიდან მოხსნილია, თამაში აუცილებლად ზესტაფონში გაიმართებაო.

### გამგებელი

რუსთავში, „მეტალურგთან“ გამარჯვებით გახარებული ჯემალ გორგოძე ზესტაფონელთა გუნდის პრეზიდენტს ვასიკო ხაჭაპურიძეს გადაეხვია და უცბადვე საქმეზე გადავიდა — რაც შეიძლება მალე შევიკრიბოთ და ერთად მოვიფიქროთ, რა იქნება საჭირო მეტოქეთა ღირსეულად დასახვედრად და გუნდის გასაძლიერებლადო. ეს შეკრება 3 ივნისს მოეწყო და დიდხანს არ გაგრძელებულა — გამგებელმა თანამდებობის პირებს კონკრეტული დავალებები მისცა და მომდევნო შეკრების თარიღიც დათქვა.

— ჯერ ის უნდა დავგეგმოთ, რის გაკეთებას ვაპირებთ და შემდეგ საქმესაც შევუდგებით. უპირველესად, გადასაჭრელია ბაზის და სტადიონის პრობლემები, რომელთა მოუგვარებლადაც ჩვენთან თამაში ვერ გაიმართება. ამ საქმეში ჩაერთვება ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელსაც უკვე ჰყავს პარტნიორი — რეკონსტრუქციისა და განვითარების რუსულ-ქართული ბანკი. ეს ხალხი, როგორც ვიცი, დაინტერესებულა ქართული ფეხბურთის აღმავლობით და აუცილებლად დაეხმარებიან „მარგვეთს“. ამათ გარდა, აქაურ და სხვა ქვეყნებში მოსაქმე ბიზნესმენთა ქველმოქმედების იმედიც გვაქვს. სხვებიც დაინტერესდებიან ამ საქმით და საბოლოო ჯამში ზესტაფონი მზად იქნება ევროპელ მეტოქეთა საკადრის დონეზე დასახვედრად. სხვაგვარად ჩვენი სირცხვილი იქნება, გუნდმა ამხელა წარმატებას მიაღწია და ახლა სჭირდება დახმარება და გვერდში ამოდგომა. მოკლედ, ძალიან შევრცხვებით, თუ „მარგვეთს“ სხვაგან გაუხდა სათამაშო.

### მწვრთნელი

აუტსაიდერ „მარგვეთში“ შარშან მოსულმა ზაურ ჩუბინიძემ გუნდი, ჯერ იყო და, ფსკერიდან ამოიყვანა, წელს კი უეფას საგზურიც მოაპოვებინა. რუსთავში მოპოვებული უძნელესი გამარჯვებაც მის მიერ არჩეული სწორი ტაქტიკის შედეგი იყო. ევროპული თამაშებისთვის ჩუბინიძეს, ბუნებრივია, ბევრი საფიქრალი გაუჩნდა — გუნდს ხომ გაძლიერება სჭირდება.

— რასაკვირველია, „მარგვეთის“ გაძლიერებას ვაპირებთ. მით უმეტეს, რომ რაიონის გამგებელი გვერდში ამოგვიდგა და გუნდის ბედით დაინტერესდა. გაძლიერება უფრო ნახევარდაცვასა და თავდასხმაში გვჭირდება, მით უფრო, რომ ენდელაძე რუსეთში, შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ გუნდში მიდის გასასინჯად. თუმცა, ზვიადი ჯერ ოფიციალურად არ წასულა გუნდიდან და მისი საკითხი საბოლოოდ არც გადაწყვეტილა. ლაპარაკია, აგრეთვე, „დინამო 2“-დან რამდენიმე ფეხბურთელის გადმოყვანაზე.

**— ამის თაობაზე უკვე შეუთანხმდით „დინამოს“ ხელმძღვანელობას?**

— არა, ჯერ არ გვისაუბრია, თუმცა კი, ასეთი შეთანხმების შემთხვევაში ფეხბურთელი, რომელიც „დინამოს“ ძირათადში არ თამაშობს, ევროთასებზე ჩვენთან ითამაშებს. ამასთან, ეროვნულ ჩემპიონატსაც მეტი ელფერი მიეცემა და, რაც მთავარია, ჩვენი გუნდების უკეთესი თამაშით საქართველოს საერთო კოეფიციენტიც გაუმჯობესდება, რაც თავად თბილისის „დინამოსაც“ უნდა აძლევდეს ხელს — თბილისელებს ხომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მიეცემათ. მოკლედ, ჩვენ ქართული ფეხბურთის უკეთ წარმოჩენა გვინდა.

**— ენდელაძის გარდა სხვაც ხომ არ აპირებს გუნდიდან წასვლას?**

— კაკუბავას სურდა „მარგვეთიდან“ წასვლა. ვეტერანები კიკნაძე და ბებიაშვილი კი ფეხბურთს თავს ანებებენ.

**— მომზადებას როდის დაიწყებთ?**

— ივნისის ბოლოს შევიკრიბებით, ტყიბულის ბაზაზე გვსურს მოვემზადოთ, თუმცა ეს საბოლოოდ არ გადაგვიწყვეტია. შეიძლება ქობულეთშიც წავიდეთ. ბუნებრივია, სასურველია შეკრების უცხოეთში მოწყობა, მაგრამ ეს ფინანსურ საკითხებს უკავშირდება და ვნახოთ, როგორ აეწყობა საქმე, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი რაიონის გამგებლის ჯემალ გორგოძის ენთუზიაზმი გვაიმედებს.

### პრეზიდენტი

სწორედ ეს კაცი, ვასილ ხაჭაპურიძეა „მარგვეთის“ წარმატებების სულისჩამდგმელი. კლუბის პრეზიდენტი მხოლოდ დღევანდელ დღეზე არ ფიქრობს, მას „მარგვეთისთვის“ მტკიცე საფუძვლის ჩაყრა განუზრახავს და საამისოდ ბავშვთა საფეხბურთო ლიცეუმი დაარსა. მოგეხსენებათ, ფეხბურთი მარტო სიხარულს არ ანიჭებს ადამიანს და ეს კლუბების პრეზიდენტებს ყველაზე უკეთ მოეხსენებათ. ბევრმა, ალბათ, არც იცის, რამხელა ნერვიულობის ფასად დაუჯდა პრეზიდენტს უეფას საგზური. პირველი წრის შემდეგ, როდესაც გუნდი მესამე ადგილზე იყო, პრობლემები მოუმრავლდა და შესაძლოა, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ხმები დაირხა, ხაჭაპურიძე გუნდიდან მიდისო. მართალია, საქმე მთლად ასე არ იყო, მაგრამ ხაჭაპურიძე ერთი ხანობა საკმაოდ გულგატეხილი გახლდათ.

რაც ფული დავხარჯე, ათი იმდენიც რომ დამეხარჯა, მაინც მიღირდა იმ სიხარულად, დღეს რომ განვიცადეო — გვითხრა რუსთავში მოგებული შეხვედრის შემდეგ გახარებულმა პრეზიდენტმა. ეს მისთვის საჩუქარიც იყო — 2 ივნისს ხაჭაპურიძეს 40 წელი შეუსრულდა. მაგრამ დაბადების დღეს ვინ ჩივის, პრეზიდენტს სწორედ ახლა დაუდგა ცხელი დღეები. ბუჳრწილად კვლავაც მის მარიფათსა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული, როგორ წარმოაჩენს „მარგვეთი“ საქართველოს.

ჯერ კი ზესტაფონში სხვა და ერთობ სასიამოვნო ღონისძიებისთვის ემზადებიან: დღეს 3 საათზე „მარგვეთს“ აჯილდოებენ და ბევრ სტუმარსაც ელიან.

მერაბ მამულაშვილი

## ქინქლაძის მამა «ლოკომოტივის» პრეზიდენტია

რკინიგზის დეპარტამენტის უფროს აკაკი ჩხაიძისა და გიორგი ქინქლაძის მამის რობიზონ ქინქლაძის ერთობლივი მონდომებით კვლავ აღსდგა საფეხბურთო „ლოკომოტივი“. გიოს მამა კლუბის პრეზიდენტია, მთავარ მწვრთნელად კი „შევარდენის“ ყოფილი ფეხბურთელი კობა ჟორჟიკაშვილი იმუშავებს. „ლოკომოტივს“ ჩვენი გუნდებისთვის ჩვეული ბაზის პრობლემა არ შეაწუხებს, რადგან დიღომში საკუთარი ბაზა გააჩნია, ავტობუსი კი რკინიგზის დეპარტამენტმა შეუძინა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილში „ლოკომოტივის“ თავკაცები აღმოსავლეთი ზონის II ჯგუფში ითხოვენ ადგილს.

ამჟამად გუნდში სასელექციო საქმიანობით არიან დაკავებულნი, შემდეგ კი ჩემპიონატისთვის მზადების დაწყებასაც აპირებენ.

## ქართველები ძალიან შორს

ზვიად ენდელაძესთან ერთად შორეულ აღმოსავლეთს ქუთაისელები, დავით ნოზაძე და არჩილ ჩხაბერიძეც გაემგზავრებიან. იქ ისინი ერთ-ერთ კორეულ გუნდთან შეხვედრაში ხაბაროვს კელებმა უნდა გასინჯონ. ამის შემდეგ გადაწყდება, დარჩებიან თუ არა რუსეთში.

## ფოცხვერია — ალია უკრაინიდან

„სარბიელში“ დაბეჭდილ ამასწინანდელ ინტერვიუში ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა უკრაინაში, ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ მოთამაშე მიხეილ ფოცხვერიას გასინჯვის სურვილი გამოთქვა. უკრაინაში დაბადებული ამ ფეხბურთელის მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც იგი „ვერდერში“ მიიწვიეს სტაჟირებაზე. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მისი ჩამოყვანით დაინტერესებულა „ოდიშის“ მწვრთნელი მურთაზ ხურცილავაც. ფოცხვერიას ეროვნული ნაკრების მწვრთნელისთვის ვლადიმერ პანოვისთვის დაუდასტურებია, რომ სიამოვნებით ითამაშებს საქართველოს ნაკრებში.

გუცაევი ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე აპირებს ფოცხვერიას საქმეში ნახვას და ამ მიზნით უკრაინაში ჩასვლას. უკვე დაზუსტებულია, რომ 11 აგვისტოს თბილისში, 3 სექტემბერს კი კიევში ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებები. შესაძლოა, ჩვენს ნაკრებში კიდევ ერთი დებიუტანტი — ბულგარეთში მოთამაშე ჭურაძეც ვიხილოთ.

ვლადიმერ გუცაევის თქმით, მას რუსეთის ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელის გერშკოვიჩისგან მიუღია თანხმობა სექტემბერში საქართველო-რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრის თაობაზე.

## როდიონოვი აშვეთიამ შეცვალა

ერთ-ერთ წინა „სარბიელში“ გაუწყეთ ტორპედოელ აშვეთიას მოსკოვში წასვლის ამბავი. ახლა ისიც შევიტყვეთ, რომ ქუთაისელმა ფორვარდმა მოსკოვის „სპარტაკის“ შემადგენლობაში ამხანაგურ მატჩში ითამაშა სმოლენსკის ცსკ ვვს-„კრისტალთან“. ამ შეხვედრაში ყოფილმა სპარტაკელებმა ჩერენკოვმა და როდიონოვმაც ითამაშეს. სწორედ ამ უკანასკნელის ნაცვლად გამოვიდა 46-ე წუთზე აშვეთია, თუმცა ამ მომენტისთვის ანგარიში უკვე 2:0 იყო სმოლენსკელთა სასარგებლოდ და თამაშიც საბოლოოდ მათი გამარჯვებით 3:0 დასრულდა.



5 ივნისი. ჩიკაგო.
პიპენი ჰოკინსის წინააღმდეგ

# ჩიკაგოს ხორვატმა მოაგებინა

ფინალი. პირველი მატჩი

**ჩიკაგო — სიეტლი 1:0**

5 ივნისი. ჩიკაგო

ჩიკაგო ბულზი — სიეტლ სუპერსონიქსი 107:90 (24:18, 29:30, 26:29, 28:13)

ჩიკაგო: პარპერი (15), ჯორდანი (28), პიპენი (21), როდმანი (7), ლონგლი (14); კერი, კუკოჩი (18), ბრაუნი, ვენინგტონი (4), ბიუპლერი, სეილი

სიეტლი: პეიტონი (13), ჰოკინსი (9), შრემპფი (13), კემპი (32), ჯონსონი (2); პერკინსი (14), მაკმილანი, ესკიუ (5), ბრიკოვსკი, ვინგეიტი (2), სნოუ

„სიეტლმა" პირველ ტაიმშივე განიცადა ორი დანაკლისი. მეორე მეოთხედის შუაწელში ზურგის ტკივილის გამო მატჩი მიატოვა ნეით მაკმილანმა. არადა, ამ კაცს დიდი მისია ეკისრებოდა: გერი პეიტონს უნდა შეშველებოდა ჯორდანის დაკეტვაში. ტაიმის დამთავრებამდე 1,27 წუთით ადრე „სონიქსის" სათადარიგო ცენტრმა ფრენკ ბრიკოვსკიმ როდმანთან განზრახ ჯარიმის აკიდებისათვის ტექნიკური მიიღო. ბრიკოვსკის გადაწყვეტილება არ ეჭაშნიკა და მსაჯს კამათი დაუწყო, ამისათვის მეორე ტექნიკური და გაძევება დაიმსახურა.

„ჩიკაგო" მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე 67:56 იგებდა, მაგრამ „სიეტლმა" დარჩენილი მონაკვეთი 21:12 მოიგო და მასპინძლები მეოთხედის ბოლოს ორი ქულითღა იყვნენ წინ — 79:77. მოვლენები კი ასე განვითარდა: „სონიქსმა" ბოლო 14 საჯარიმო ზედიზედ ჩააგდო, კემპმა და შრემპფმა ჯამში 17 ქულა დააგროვეს. მეოთხედის დამთავრებამდე 2,05 წუთით ადრე ჩიკაგოელმა ჯუდ ბიუპლერმა ააცილა. სტუმრებმა ამით ვერ იხეირეს: სემ პერკინსმა სამქულიანი ვერ ჩააგდო, ხოლო სკოტი პიპენმა პერსი ჰოკინსს დაუფარა. მაიკლ ჯორდანმა, რომელიც მესამე მეოთხედში ოთხი წუთის მანძილზე სკამზე იჯდა, ჩააგდო, სამაგიეროდ, ბიუპლერმა ზედიზედ სამი ააცილა, ხოლო შრემპფმა ორი საჯარიმოთი მესამე მეოთხედის ანგარიში დააფიქსირა.

მეოთხე მეოთხედის დაწყებისთანავე ბილ ვენინგტონმა დაამატა ტონი კუკოჩის ნასროლს. შემდეგ კი ჩიკაგოელთა ხორვატის ჯერი დადგა: კუკოჩი ტრიალით გაექცა შრემპფს და ჩატენა — 83:77. „სიეტლის" მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა წუთშესვენება აიღო, რომლის შემდეგ კუკოჩმა კემპის ხელების ზემოდან მარჯვენა ფრთიდან სამქულიანი ჩააგდო. პერკინსმა ანალოგიურად უპასუხა ამას, მაგრამ კუკოჩი კვლავ კემპისკენ წავიდა და საჯარიმოებიც დასტყუა. დამთავრებამდე 9,24 წუთით ადრე „ჩიკაგო" 90:80 იგებდა.

„სიეტლის" ბოლო გაბრძოლება ის იყო, რომ პეიტონმა ორი ბურთი ჩააგდო — პერკინსისა და კემპის ჩაჭრილის წყალობით. სანაცვლოდ, „ბულზმა" რვა უპასუხო ქულა გააკეთა, თავი როდმანმა, კუკოჩმა, პარპერმა და ლონგლიმ გამოიჩინეს. დამთავრებამდე 3,35 წუთი რჩებოდა, ხოლო ჩიკაგოელები 101:86 იგებდნენ.

სერიის მეორე მატჩი დღეს გაიმართება ჩიკაგოში.

## ჩოგბურთი

# სელეშიც გავარდა, მუსტერიც და ფრანგთა ჯილაც

პარიზში, „როლან გაროსზე", საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალს განუთესელთაგან ვერავინ მიაღწია. მართალია, მეოთხედფინალში გავარდნენ მონიკა სელეში და თომას მუსტერი, მაგრამ ორივე პირველი ნომერი — შტეფი გრაფიცა და პიტ სამპრასიც შემორჩა შეჯიბრს და თუ რამ განსაკუთრებული არ მოხდა, უნდა გაიმარჯვოს.

**ნახევარფინალური წყვილები**

ქალები: შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3); არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 4) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 10)

ვაჟები: პიტ სამპრასი (აშშ, 1) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 6); მარკ როსე (შვეიცარია, 14) — მიხაელ შტიხი (გერმანია, 15)

**IV წრე. მერვე დღე. 3. VI**

მარტინესი — ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა, 14) 6:2, 6:3. თამაში წინა დღიდან წვიმის გამო გადმოიდო, როცა მეორე ხელში ანგარიში 4:1 იყო.

ბერნდ კარბახერი (გერმანია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 5) 6:3, 6:1, 6:2. გორანმა სეზონი უძლიერესად დაიწყო, მაგრამ კი-ბისკეინის ტურნირის ფინალის წინ ძილში ნალრძობმა კისერმა დათარსა და ფორმა დააკარგვინა. აი, ახლაც, ბურთის პირველივე გათამაშებისას დაწყლულებული ფეხი უხეიროდ დააბიჯა და დაეცა, მერე კი სამიზნეც მოეშალა. განუთესელმა გერმანელმა იგრძნო მეტოქის სისუსტე და 80 წუთში მოითავა საქმე. კარბახერმა 14 ეისი გაახერხა, ძლიერი მოწოდებით ცნობილმა ხორვატმა კი — მხოლოდ ორი.

როსე — სტეფან ედბერგი (შვედეთი) 7:6, 6:3, 6:3. წინა წრეში ჩანგის (4) ძლევა ედბერგის გედის სიმღერა გამოდგა: 30 წლის გამოჩენილმა ვეტერანმა, თამაშს თავს სეზონის ბოლოს რომ ანებებს, ვერაფერი მოუხერხა გოლიათ ოლიმპიურ ჩემპიონს, ვინაც თუმცა 23-ედ მონაწილეობს დიდი სლემის ტურნირებში, ამ ეტაპამდე — მეოთხე წრემდე ორად-ორჯერ მიუღწევია.

სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — მარსელო რიოსი (ჩილე, 9) 6:4, 6:1, 6:2. ფრანგთა ბოლო იმედმა შეიწირა სამხრეთი ამერიკის უპირველესი ჩოგბურთელი, კლასიფიკაციის მოწინავე ათეულში 13 მაისსლა რომ გამოჩნდა და ვისაც ლათინთა ანდრე აგასობას უწინასწარმეტყველებენ.

შტიხი — თომას მუსტერი (ავსტრია, 2) 4:6, 6:4, 6:1, 7:6 (7-1). შარშანდელი ჩემპიონი მუსტერი გავარდა, თან ისე, რომ ეისების შეჯიბრი 0:23 წააგო. არადა, ორივე მოთამაშეს ტურნირის წინ კოჭი აწუხებდა და სულ ბოლო მომენტამდეც არ იცოდა, ისპარეზებდა თუ ვერა. გამარჯვებამ შტიხი ისე ააცუნდრუკა, რომ მოედანზე პატარა ბიჭივით ხშირ-ხშირი ნაბიჯით აკუნტრუშდა, მერე კი საპატიო ადგილიდან მზირალ ცოლ ჯესიკას ეახლა და აკოცა.



მუსტერის ძლევა ფლავის ჭამა კი არაა !!!

**მეოთხედფინალი. მეცხრე დღე. 4. VI**

გრაფი — ივა მაიოლი (ხორვატია, 5) 6:3, 6:1. მარტინესი — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 9) 6:1, 6:3. სანჩეს-ვიკარიო — კარინა პაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:7, 10:8. ნოვოტნა — მონიკა სელეში (აშშ, 2) 7:6, 6:3

1990, 1991 და 1992 წლების ჩემპიონ სელეშს პარიზში ზედიზედ 25 თამაში კი მოეგო, მაგრამ დამფრთხალი ჩანდა და სუსტადაც აწვდიდა. ამით ისარგებლა ნოვოტნამ და მონიკა სულ აქეთ-იქით არბენინა, თუმცა კი, როგორც სჩვევია, ბოლოს მაინც შედრკა და კინალამ დაანიავა მონაგარი.

პაბსუდოვა სამ საათს გაუძალიანდა მეტოქეს. სანჩესმა მეორე ხელში ორი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა. დიდი სლემის წესებით, გადამწყვეტ ხელში თაი-ბრეიქი არ თამაშდება, რამაც განაპირობა ესოდენ დიდი ანგარიში. ნახევარფინალში არანჩა დაეჯახა ნოვოტნას, ვისთანაც ერთად წყვილთა ჩოგბურთს თამაშობს ხოლმე.

სამპრასი — ჯიმ კურიე (აშშ, 7) 6:7, 4:6, 6:4, 6:4, 6:4. ამერიკელებმა საარაკო სანახაობა გამართეს. შარშანწინ, იქვე, თიხაზე აქამდე გამართული ერთადერთი თამაში კურიემ მოიგო ოთხ ხელში, შარშან კი, ავსტრალიის ღია პირველობაზე, პიტმა ჯიმთან საწყისი ორი ხელი წააგო, მაგრამ მერე სამი მოუგო. ამ შეჯიბრში სამპრასს ხუთხელიანი თამაშები გაუმართეს ბრუგერამ და მარტინმა. ახლა ამათ კურიემაც მიბაძა, მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მაინც გაიმარჯვა და პირველად გავიდა „როლან გაროსის" ნახევარფინალში.

კაფელნიკოვი — რიხარდ კრაიჩეკი (პოლანდია, 13) 6:3, 6:4, 6:7 (4-7), 6:2

**მეათე დღე. 5. VI**

როსე — კარბახერი 4:6, 4:6, 6:3, 7:5, 6:0. შვეიცარიელმა ალიარა, ბოლომდე ბრძოლა სამპრასმა შთამაგონა გუშინდელი გამარჯვებითო. მსოფლიოს 56-ე ჩოგანი კარბახერი თავიდან მოწოდებით ჯაბნიდა მეტოქეს და მეოთხე ხელში ორი ბურთიც დააკლდა მოგებამდე (5:4 იგებდა), მაგრამ გადამწყვეტ ხელში მთლად წახდა.

შტიხი — პიოლინი 6:4, 4:6, 6:3, 6:2. ბოლო მასპინძელი, ვინაც „როლან გაროსის" ნახევარფინალს უწია, ანრი ლეკონტი იყო (1992 წელს). ფრანგებს გეგმები ამჯერად ჩაუშალა შტიხმა, რომელიც გამოტყდა, შეჯიბრში თამაშს რომ არ ვაპირებდი, არც მინერვიულია და ამიტომ ვასპარეზობ ეგზომ ლაღადო. ასე იყო თუ ისე, გერმანელი თავიდან ბევრს დაობდა მსაჯებთან, რისთვისაც მაყურებლის სტვენა დაიმსახურა, მაგრამ მერე და მერე ისე ათამაშდა, რომ არა თუ პიოლინი, თვით სამპრას-აგასებიც ძნელად რომ გასძალიანებოდნენ.

**ირაკლი ნინუა**

# რუსის ჯერია

იტალიის ველოტურ „ჯიროს" ჯერ რომ მასპინძელი დავიდე რებელინი ლიდერობდა, ახლა რუსი პაველ ტონკოვის ჯერი დამდგარა. იგი 31 მაისს, XIII ეტაპის მერე დაწინაურდა და მას აქეთ მოწინავის ვარდისფერი კვართი აცვია.

XV ეტაპი (2. VI) მოიგო 1990 წლის გამარჯვებულმა, 32 წლის იტალიელმა ჯანი ბუნიომ.

XVI ეტაპი (3. VI, 180 კმ) მოიგო უკრაინელმა ოლექსანდრ გონჩენკომ.

XVII ეტაპზე (4. VI, 236 კმ) გაიმარჯვა დანიელმა ნიკოლას ბო-ლარსენმა.

XVIII ეტაპის (5. VI, 216 კმ) ფინიშზე, ვიჩენცაში, იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ აჯობა თანამემამულე ჯოვანი ლომბარდის. ჩიპოლინიმ ამ „ჯიროში" ამგვარად მოიგო მეოთხე ეტაპი.

გუშინ (6. VI) ძალზედ მნიშვნელოვანი სიჩქარის გამოცდა (time-trial) იყო. როგორც წესი, დიდ ტურებზე საინტერესო ამბები მხოლოდ ამგვარ ეტაპებზე ხდება. მის დაწყებამდე ტონკოვი 20 წამს უგებდა ლატვიელ პერტის უგრუმოვს, 38 წამს — იტალიელ ენრიკე ძაინას და 44 წამს — რებელინს.

**მიხო ნინუა**



ფრანკის 200 მეტრი ურჩევნია 100-ს !

# არაპ მოი არ დათმობს

ატლანტამდე ბევრი აღარ რჩება, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ორი ვარსკვლავი იქ ვერ იასპარეზებს.

ერთია 36 წლის ამერიკელი ზანგი ქალი „ფლო-ჯო" ანუ ფლორენს გრიფითს-ჯოინერი — სეულის 1988 წლის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი სპრინტსა და ესტაფეტაში, ვისაც ქმარი ელი წვრთნის, ერთობ გამომწვევადაც იცვამს და ალქაჯის ყაიდაზე ფრჩხილებიც სულ ნაირფრად აქვს დალებილი. „ფლო-ჯოს" არყოფნის მიზეზი სახსრების ქრონიკული ანთება იქნება.

მეორე, ვისაც მოისაკლისებს მძლეოსანთა საძმო, 800 მეტრზე სირბილის მსოფლიო ჩემპიონი ვილსონ კიპკიტერია, ვინაც კენიელი კია, მაგრამ 1990 წლიდან დანიაში ცხოვრობს და ჩემპიონობაც ამ ქვეყნის სახელით მოუხვეჭია.

კიპკიტერის არყოფნის მიზეზი სწორედ რომ ეს გაორება იქნება. დანიის მოქალაქეობის მიღებამდე ვილსონს ჯერ კიდევ ორი წელი უკლია, კენიის გიუმაყი პრეზიდენტი დანიელ არაპ მოი კი აცხადებს, ყველა ნაღდმა კენიელმა სამშობლოს სახელით უნდა იასპარეზოსო. პოდა, ამით გახელებული კენიის ოლიმპიური კომიტეტიც, იშველიებს რა ოლიმპიური ქარტიის სათანადო მუხლებს, ლტოლვილ თანამემამულეს არა რთავს დანიის სახელით ასპარეზობის ნებას, თუმცა კი ევროპელები უმტკიცებენ, სპორტისთვის ათგზის უკეთესი იქნება, თუ ოლიმპიადაზე ყველა ძლიერი ჩავაო.

ისეთი სიტყვიერი ბრძოლა გაუმართავთ სპრინტერებს, კაცი იფიქრებ, მოკრივეები ხომ არ არიანო. ბრიტანელი ლინფორდ ქრისტი ჯერაც არ ამხელს გეგმას და არავინ უწყის, ატლანტაში ტიტულს დაიცავს თუ არა.

ქრისთის მთავარი მეტოქე ამერიკელი დენის მიჩელია, ვისაც სეზონის საუკეთესო შედეგი — 9,93 წამი ეკუთვნის. მიჩელი და ქრისთი ოთხშაბათს კიდეც შეიბნენ რომში, „ოქროს გალას" პროგრამით. შარშან, იქვე, მეტოქეები ერთმანეთს განერიდნენ და ცალ-ცალკე გარბენებში ჩაებნენ, წელს კი მიჩელმა (10,05) დაამარცხა ბრიტანელი (10,10).

იქვე სამხტომი ბოლო ცდით მოიგო ჯონათან ედვარდსმა (17,55 მეტრი), მაროკოელმა სალაჰ ჰისუმ კი 5 000 მეტრზე ყველა დროის მეორე შედეგი გაახერხა — 12.50,80. ნამიბიელმა ფრანკი ფრედრიქსმა 200 მეტრი 19,96 წამში გაირბინა. მასვე ორი დღით ადრე, ორშაბათს, პარიზის გარეუბან სენ-დენიში 100 მეტრზე სეზონის მეორე შედეგი — 9,95 აღმოაჩნდა, მანამდე კი 9,99-ც ჰქონდა ნაჩვენები. მიუხედავად ამისა, ფრანკი მაინც თავმდაბლობს და აცხადებს, რომ ატლანტაში 100 მეტრზე მისი მეგობარი ქრისთი გაიმარჯვებს — აბა, ამ ზამთარს ორი თვე ტყუილად ხომ არ ვივარჯიშეთ მზიურ ავსტრალიაშიო?! რაც შეეხება პირად გეგმებს, ნამიბიელს მიაჩნია, რომ 100 მეტრზე სირბილი ხელს შეუშლის უსაყვარლეს 200 მეტრზე ასპარეზობაში, სადაც მისი უმთავრესი მეტოქე იქნება ამერიკელი მაიქლ ჯონსონი, ვინაც 400 მეტრზეც იგეგმავს გამარჯვებას.

**რეზო ნემსაძე**

# შვიდკაცა რაგბი

შვიდკაცას II მსოფლიო თასის შესარჩევი. ლისაბონი

1.VI: საქართველო — ავსტრია 35:7, — ნამიბია 12:59

2.VI: საქართველო — ანდორა 31:5, — პორტუგალია 7:56. ჩვენები ჰონკონგში ვერ მოხვდნენ. სანუგეშო ლანგრის მეოთხედფინალი: საქართველო — შვედეთი 5:40

**საქართველოს XXIX პირველობა**

იწყება მეორე წრე. დღეს თამაშობენ აზოტი — ლელო და დინამო — ყოჩები. ხვალ: გელათი — გუმარი და ქორები — აია

**პირველი წრის შემდეგ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 7 | 7 | 0 | 0 | 174: 40 | 24- 2 | 14 |
| გუმარი | 7 | 6 | 0 | 1 | 272: 46 | 43- 2 | 12 |
| აია | 7 | 5 | 0 | 2 | 210: 21 | 23- 2 | 10 |
| ქორები | 7 | 4 | 0 | 3 | 151: 64 | 18- 5 | 8 |
| გელათი | 7 | 2 | 1 | 4 | 70:166 | 6-25 | 5 |
| აზოტი | 7 | 2 | 1 | 4 | 63:114 | 8-15 | 4 |
| ლელო | 7 | 1 | 0 | 6 | 56:180 | 5-26 | 2 |
| დინამო | 7 | 0 | 0 | 7 | 18:338 | 0-50 | 0 |

# მექანიკოსებმა ივარგეს

**ავტორალის** მსოფლიო პირველობის მეოთხე შეჯიბრი — 21 სპეციალური ეტაპიანი „აკროპოლისის რალი", კვირიდან სამშაბათამდე რომ მიმდინარეობდა საბერძნეთში, მოიგო მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონის, „სუბარუთი" მოასპარეზე შოტლანდიელი ქოლინ მაკრეის ეკიპაჟმა, ვისი შედეგიც 5 საათი, 33 წუთი და 12 წამი იყო. მეორე ადგილზე გავიდა ფინელი თომი მაკინენი („მიცუბიში"), მესამეზე — ესპანელი კარლოს საინსი („ფორდ-ესკორტი").

მაკრეი მთელი რალის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ ბოლო დღეს თავს დიდი განსაცდელი გადახდა — ლერძი გაუტყდა. მის გამოცვლას ჩვეულებრივ 15 წუთი სჭირდება, მაგრამ „სუბარუს" მექანიკოსებმა 9 წუთი იმყოფინეს. მაკრეის სამი წამით რომ ვერ მიესწრო საკონტროლო პუნქტში, ერთი წუთით დაჯარიმდებოდა და როგორც მერე გაირკვა, ვერც რალს მოიგებდა, ვინაიდან მაკინენს სწორედ რომ წუთზე ნაკლებით, უფრო ზუსტად კი 50 წამით აჯობა.

წლის ბოლომდე კიდევ ხუთი რალია, ჩემპიონატის ჩათვლაში რომ შედის. 55 ქულით ლიდერობს მაკინენი. საინსს 47 ქულა აქვს, მაკრეის — 42.

**ნათელა ხვადაგიანი**

მთელ ქალაქს რომ იცნობდა, ასეთი კაცი იყო

# ბიჭიკო ქორქია

[illegible] ბევრმა არათუ პიროვნებამ, თაობამ ისწავლა, მაგრამ თუ ღმერთს არ უნებებია, როგორ ისწავლიდი იმას, რაც ასე გამოარჩევდა ბატონი ბიჭიკოს ცხოვრებასა და საქმიანობას — ერთგულების მისეული ნიჭი ხომ მართლაც დიდი და იშვიათი იყო: გაზეთ „ლელოს" დაარსებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ლელოელად დარჩა, ქართული ფეხბურთი კი ერთადერთ და უღალატო სიყვარულად ჰქონდა.

სარბიელელები მწუხარებას გამოვთქვამთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ამაგდარი კაცის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახსა და ვაჟს, ჩვენს კოლეგა გიორგი ქორქიას.

# ყვანჯოსანთა თავგადასავლები

პაკისტანში დასრულდა ბალახის ჰოკეის ეროვნული ნაკრების გაფიცვა. ორშაბათს გუნდისა და მისი უფროსობის კონფლიქტი გაირჩა პარლამენტის სპორტის კომისიაში და დამტკიცდა, რომ მოთამაშეები მართლები ყოფილან. გადაყენებული იქნენ მენეჯერი ასქარი და მწვრთნელი ულ-ჰასანი. მათ შემცვლელებს ამ დღეებში დანიშნავენ, გუნდმა კი წვრთნა განაახლა და ატლანტამდე ჯერ ინგლისში ითამაშებს, მერე კი — პოლანდიაში. პაკისტანელები ბალახის ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონები არიან.

აი, ყინულის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში (ნჰლ) კი გაჩაღდა სთენლის თასის ფინალი. გამარჯვებული ის იქნება, ვინც პირველი მოიგებს ოთხ თამაშს.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ წლევანდელმა ფინალმა არ გაუმართლა ლიგის ბოსებს, რაკილა მასში ისე უჯიშო გუნდები გავიდნენ, რომ საკუთრივ ამათ ქომაგთა გარდა სხვა ვერავის გულისყურს ვერ მიიპყრობენ. პოდა, სთენლის თასის ფრიადი სარეკლამო ხიბლი და პოტენციალი საკადრის დივიდენდს ვერ მოიტანს.

დენვერის „კოლორადო ავალანშიცა" (ზვავი) და მაიამის „ფლორიდა პანთერსიც" (ფოცხვერები) ფინალში პირველად მონაწილეობენ. ან სხვაფრივ როგორ იქნებოდა, თუ პირველი კვებეკიდან (კანადა) შარშანღა გადაბარგდა მაღალმთიან დენვერში, მეორე კი მზიურ [illegible] ამ სამი წლის წინ დაფუძნდა.

საქმე ისე კურიოზულადაცაა, რომ თასი ვინც გინდა მოიგოს, იგი მის ისტორიაში მაინც ყველაზე სამხრეთელი გამარჯვებული იქნება.

პირველი თამაში დენვერში სამშაბათს გაიმართება. პირველი პერიოდი სტუმრებმა ფითსჯერალდის გოლის წყალობით მოიგეს, მაგრამ მეორე პერიოდის ოთხწუთა მონაკვეთში იანგმა, რიჩიმ და კრუპმა სამი შაიბა დააზვავეს „ფოცხვერებს", მონრეალის გუნდიდან ზამთარში გაგდებულმა დენვერელთა მეკარე პატრიკ რუამ 25 დარტყმა მოიგერია და „ზვავებმაც" 3:1 გაიმარჯვეს. მეორე მატჩი წუხელ გაიმართა.

**თენგიზ არტამონოვი**


საააქციო-საზოგადოება „ეკრანი" ერთი წლის გარანტიით გთავაზობთ იაპონური და კორეული ფირმების "HITACHI" და "ONVA"-ს ტელეაპარატურას მნიშვნელოვანი ფასდაკლებით

| | | |
|---|---|---|
| HITACHI 2191 | 480 ლარი | (მულტისისტემა) |
| HITACHI 2195 | 485 ლარი | (სრული მულტისისტემა) |
| HITACHI 2591 | 780 ლარი | (სრული მულტისისტემა) |
| ONVA K9621 | 380 ლარი | (ტელეტექსტით) |

ასევე ვიდეო-აუდიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონელს. საბითუმო მყიდველისათვის გათვალისწინებულია 2-3 % დათმობა.

გვერწმუნეთ, ამაზე იაფი უკვე ნაჩუქარია
მისამართი. თამარ მეფის გამზირი № 18
ტ. 34-09-50

ეკრანი



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მემკელია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29